ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

რატი თვალავაძე

2003 წლის ერაყის ომი – ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების ცენტრალური ფაქტორები და მათი ახსნა რეალისტური პერსპექტივიდან

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო პოლიტიკასა და დიპლომატიაში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკა აკობია

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია გაფანტოს ის ბუნდოვანება, რომელიც ერაყის ომის გარშემოა შექმნილი. 2003 წლიდან, ერაყის ომის დაწყებიდან მოყოლებული ძალიან ბევრი დაწერილა და თქმულა ომის მიზეზებსა და მათ ახსნაზე, თუმცა, ჩემი აზრით, ნაშრომების უმრავლესობას ზედაპირულობა და ზედმეტი იდეოლოგიზირება ახლავს თან. პრაქტიკულად არ ვიცნობ ნაშრომს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მიმართულებით სწორ კონტექსტში სვამს ერაყის ომის დაწყების მიღმა არსებულ მიზეზებსა და ცენტრალურ ფაქტორებს.

სწორედ ამიტომაც ვთვლი, რომ ეს კვლევა სერიოზული კონტრიბუცია იქნება როგორც კონკრეტულად ამ კონფლიქტის ადეკვატურად აღქმისათვის, ისე ზოგადად, რეგიონის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულების გასაცნობიერებლად.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა – რატომ მიიღო 2003 წელს აშშ–ის ხელისუფლებაში მყოფმა ბუშის ადმინისტრაციამ ერაყში შეჭრის გადაწყვეტილება?

ხოლო ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში – ერაყის ომის (2003) დაწყების გადაწყვეტილების მიღება განაპირობა სამმა ცენტრალურმა ფაქტორმა: 1. ეჭვი, რომ ერაყს გააჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი; 2. სადამ ჰუსეინის თანამშრომლობა ტერორისტებთან; 3. ირანული საფრთხის ნეიტრალიზება.

ნაშრომის ჰიპოთეზის ასახსნელად გამოვიყენებ საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური თეორიის ჩარჩოს, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს უსაფრთხოებას საერთაშორისო ანარქიულ გარემოში.

ერაყის ომი დღემდე რჩება განხილვის თემად, როგორც საწყისი წერტილი ახლო აღმოსავლეთში შემდგომში განვითარებული მოვლენებისა და არეულობებისა. შესაბამისად, ამ კონფლიქტის სწორად ახსნა და გაგება თანამედროვეობისთვისაც აქტუალურია.

Annotation

Conducted research has one main objective: to disperse the ambiguity which still appears around the Iraq War (2003). Since 2003, after the beginning of Operation Enduring Freedom, multiple authors wrote the books and papers about reasons and explanations of the Iraq War. But, in my opinion, majority of these works were characterized by superficiality. I haven't read a paper which would fill the gap and put this conflict into the adequate context of international relations theory. On this basis, I believe that my reasearch will be serious contribution in understanding of this confrontation. And also, it will make the attempt to bring the practical side of the US foreign policy towards the Middle East to light.

Research question is the following: Why did George W. Bush's administration make decision to invade Iraq in 2003?

Consequently, the hypothesis is the following: The decision to invade Iraq in 2003 was made because of 3 central reasons/factors: 1. Doubts that Saddam Hussein's Iraq had WMD capabilities; 2. Cooperation of Saddam Hussein with terrorists; 3. Neutralization of the threat of Iran.

To explain the hypothesis I'll use the theory of international relations – Realism, which gives the special emphasis to security of the state in international environment.

Iraq War still is debated among scholars as a starting point of the massive events in the Middle East – Arab Spring, Syrian Civil War, etc. Consequently, the adequate understanding of the conflict still keeps its relevance.

სარჩევი:

შესავალი----------5

თეორიული ჩარჩო----------10

ლიტერატურული მიმოხილვა----------14

ისტორიული კონტექსტი----------24

უსაფრთხოების საკითხი საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ

თეორიაში----------30

ინტერვენციის საკვანძო მიზეზები----------36

დასკვნა----------48

ბიბლიოგრაფია----------50

შესავალი

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ხასიათი გაცდა უწინდელ და ტრადიციულ დაპირისპირებებს, რომლებიც ხდებოდა სახელმწიფოებს შორის და მიიღო ისეთი ფორმა, რომლის მონაწილეებიც არიან არამხოლოდ ერი-სახელმწიფოები, არამედ სხვა აქტორებიც, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციები.

ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა. ერთი მხრივ, მათ უნდა გამოერკვიათ თუ ვინ იყო ამ აქტზე პასუხისმგებელი, დაედგინათ ის, თუ რომელი სახელმწიფოები უწევდნენ დახმარებას ტერორისტულ დაჯგუფებას და ასევე, დაედოთ გეგმა, თუ რა ფორმით შეიძლებოდა ამ საფრთხისთვის სათანადო პასუხის გაცემა.

პირველი ამოცანა შედარებით ადვილი იყო, რამეთუ „ალ-ქაიდას“ მონაწილეობაზე ტერორისტული აქტის განხორციელებაში, ეჭვები არ არსებობდა. გაირკვა მეორე კითხვაზე პასუხიც – „ალ-ქაიდას“ თავისი მთავარი კონტინგენტი განლაგებული ჰყავდა ავღანეთის ტერიტორიაზე, რომლის სათავეშიც იმ დროისთვის იყო ისლამური ფუნდამენტალისტური დაჯგუფება – „თალიბანი“. ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციამ ტერორისტული აქტიდან მალევე დაიწყო მყისიერი საფრთხის ნეიტრალიზება, ჯერ „თალიბანს“ წაუყენა ულტიმატუმი, გადმოეცა ოსამა ბინ ლადენი, ხოლო პირობის შეუსრულებლობის შემდეგ დაიწყო ინტერვენცია ავღანეთში - 2001 წლის 7 ოქტომბერს.

თუმცა ბუშის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ მხოლოდ ავღანეთზე კონცენტრირება საკმარისი არ იყო, ის და ამერიკული პოლიტიკური ისთაბლიშმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მყისიერი საფრთხე კიდევ ერთი ქვეყნისგან მოდიოდა. ეს იყო სადამ ჰუსეინის მმართველობის ქვეშ მყოფი ერაყი. სადამ ჰუსეინი დეკადების განმავლობაში მართავდა სახელმწიფოს, მისი ლიდერობის ქვეშ ქვეყანამ გადაიტანა ორი ომი - 1. ეს იყო მის მეზობელ, შიიტურ ირანთან, რომელთანაც 8 წლის განმავლობაში, 1980-88 წლებში ომობდა, რომლის შედეგადაც მთლიანობაში დაიღუპა ასი ათასობით ერაყელი,

ზარალმა ათობით მილიარდი შეადგინა. საკვანძო ფაქტი ამ ომთან დაკავშირებით ის იყო, რომ სადამ ჰუსეინმა პირველად გამოიყენა ქიმიური იარაღი (და თუ რატომ არის ეს მნიშვნელოვანი, ნაშრომის მსვლელობისას გამოჩნდება). 2. 1990 წელს სადამ ჰუსეინმა მეორე ომი დაიწყო, ამჯერად შედარებით სუსტ და ტერიტორიულად პატარა ქვეყანასთან ქუვეითთან, რათა ხელში ჩაეგდო სანავთობო რესურსები და ეკონომიკური კუთხით დომინანტი გამხდარიყო რეგიონში. ამჯერად ერაყმა მოახერხა ქუვეითის მცირერიცხოვანი არმიის მარტივად დამარცხება, თუმცა 1991 წელს აშშ-ის ლიდერობითა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მინიჭებული ავტორიზაციით, კოალიციამ მოახერხა მისი განდევნა ქუვეითიდან, ქუვეითის სუვერენიტეტი აღდგა, ხოლო ერაყის ავტორიტეტს როგორც რეგიონის, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით სერიოზული ზარალი მიადგა.

ქუვეითიდან სადამ ჰუსეინის განდევნის შემდეგ, ერაყის საკითხზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ არაერთი რეზოლუცია (რეზოლუცია 687 (1991), რეზოლუცია 707 (1991), რეზოლუცია 715 (1991), რეზოლუცია 1051 (1996), რეზოლუცია 1060 (1996), რეზოლუცია 1154 (1998), რეზოლუცია 1284 (1999), რეზოლუცია 1441 (2002)) იქნა მიღებული, რომლებიც მოუწოდებდა სადამ ჰუსეინის რეჟიმს სრულად წარმოედგინა ანგარიშები მისი მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) პროგრამების შესახებ, უარი ეთქვა ამ ტიპის წარმოებაზე. სანქციებში გარკვეული პარაგრაფები ეძღვნებოდა ადამიანის უფლებათა კუთხით ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას. სადამ ჰუსეინის რეჟიმი ხასიათდებოდა, როგორც ავტორიტარული ხელისუფლება, რომელიც არ ერიდებოდა რადიკალური და ბრუტალური მეთოდების გამოყენებას ნებისმიერი ოპოზიციური აზრის გამოვლენისას. ამის საუკეთესო მაგალითია, ქიმიური იარაღის გამოყენება ჩრდილოეთ ერაყში ქურთული მოსახლეობის წინააღმდეგ, 1988 წლის მარტში, რის შედეგადაც ათასობით ქურთი იქნა დახოცილი.

დასავლურმა სახელმწიფოებმა – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა – 90 - იანი წლების დასაწყისშივე მიიღეს გადაწყვეტილება ერაყის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებზე არასაფრენი ზონის (No-fly zone) დაწესების შესახებ, რათა დაეცვათ, ერთი მხრივ, ქურთული და მეორე მხრივ, შიიტური მოსახლეობა. ამასთან

ერთად, ამ ტერიტორიების დაცვისთვის გამოყოფილი სამხედრო თვითმფრინავების ჩამოგდების მცდელობა ერაყის შეიარაღებულ ძალებს არაერთხელ ჰქონიათ.

აშშ-ის ინტერესის მთავარი ობიექტი ერაყში მისი ქიმიური იარაღი იყო, ბუშის ადმინისტრაცია შიშობდა, რომ სადამ ჰუსეინს, შესაძლოა, აღნიშნული ტიპის იარაღი ტერორისტთათვის გადაეცა, ან გამოეყენებინა მისი პარტნიორების წინააღმდეგ რეგიონში, რაც მნიშვნელოვან მსხვერპლს გამოიწვევდა. (Cheney, 2012) აღნიშნული საფრთხე ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს იმ ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების გამოცდილება მას უკვე გააჩნდა.

2002 წლიდან, ავღანეთის კამპანიის წარმატებულად წარმართვის შემდეგ („თალიბანი" მალევე იქნა ხელისუფლებას მოცილებული, ავღანეთის მთელ ტერიტორიას აშშ-ის შეიარაღებული ძალები ან მისი მოკავშირე დაჯგუფებები აკონტროლებდნენ), ბუშის ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ რიგით მეორე საფრთხეზე ორიენტირებისთვის კარგი დრო იყო. წამყვან პოსტებზე მყოფთაგან უფრო ხშირად გაისმოდა აგრესიული მოწოდებები, რომ სადამ ჰუსეინი არ აპირებდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულებას, რომელი განცხადებებიც მთლიანობაში სიმართლეს შეესაბამებოდა, რამეთუ 1998 წლიდან გაერო-ს ინსპექტორებს აღარ ჰქონდათ წვდომა ერაყის ინფრასტრუქტურაზე, მსოფლიოში არავინ იცოდა, თუ რა გზას ადგა ამ მიმართულებით სადამ ჰუსეინის რეჟიმი.

ჯორჯ ბუში უმცროსი, დონალდ რამსფელდი, რიჩარდ ჩეინი, კონდოლიზა რაისი, კოლინ პაუელი მთელი 2002 წლის განმავლობაში ვიზიტებს მართავდნენ როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რათა დაერწმუნებინათ ლიდერები, რომ თუ უახლოეს მომავალში სადამ ჰუსეინი არ აჩვენებდა საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ქიმიურ იარაღთან და ბირთვულ პროგრამასთან შეხება არ ჰქონდა, მაშინ აუცილებლად უნდა შეკრულიყო კოალიცია საფრთხის ნეიტრალიზებისთვის – რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ჩამოეგდოთ სადამის ხელისუფლება სამხედრო ძალის გამოყენებით. (Cheney, 2012)

გამოყენებული იქნა დიპლომატიური ინსტრუმენტიც, 2002 წლის 8 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოზე მიღებული იქნა რეზოლუცია 1441, რომლითაც სადამ ჰუსეინს მიეცა 30-დღიანი ვადა სრულად წარედგინა ინფორმაცია საკუთარი მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ. მართლაც, 7 დეკემბერს ერაყის წარმომადგენელმა გაეროში წარადგინა მასობრივი დოკუმენტი, თუმცა ეს საკმარისი არ იყო. გაერო-ს მთავარმა ინსპექტორმა ჰანს ბლიქსმა ანგარიში არასრულად შეაფასა და საკუთარ რეპორტში 2003 წლის 27 იანვარს აღნიშნა, რომ სადამს გააჩნდა ისეთი ტიპის იარაღები, რომლებიც წარმოდგენილ დოკუმენტში აღრიცხული არ იყო. (Blix, 2003)

ამის შემდეგ კი ომისკენ ათვლა დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის თხოვნით, ბუშმა კიდევ ერთხელ სცადა გაერო-ს უშიშროების საბჭოზე მორიგი რეზოლუცია წარედგინა, ის თავშივე წარუმატებელი იყო. საფრანგეთი და რუსეთი რეზოლუციაზე ვეტოს დადების განზრახვაზე ღიად საუბრობდნენ, 17 მარტს აღნიშნული რეზოლუცია აშშ-მ გამოიწვია, ხოლო 19 მარტს აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ერაყში შესვლის ბრძანება მიიღეს. ომი დაიწყო.

ჩემი ნაშრომი უარყოფს აწ უკვე ჩამოყალიბებულ იდეას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა ნეოკონსერვატიული ლოგიკით და აყალიბებს მოსაზრებას, რომ ბუშის ადმინისტრაციის ნაბიჯები უკეთ იხსნება რეალისტური თეორიის წინაპირობებიდან გამომდინარე.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა: რატომ მიიღო 2003 წელს აშშ-ის ხელისუფლებაში მყოფმა ბუშის ადმინისტრაციამ ერაყში შეჭრის გადაწყვეტილება?

ნაშრომის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: ერაყის ომის დაწყების გადაწყვეტილების მიღება განაპირობა რამდენიმე ცენტრალურმა ფაქტორმა: 1. ეჭვი, რომ ერაყს გააჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი; 2. სადამ ჰუსეინის თანამშრომლობა ტერორისტებთან; 3. ერაყის საკვანძო მნიშვნელობა ირანული საფრთხის ნეიტრალიზებისთვის.

ნაშრომის მიმდინარეობისას, ამასთან ერთად განვიხილავ ნეოკონსერვატიულ წინამძღვრებს, რამეთუ ერაყის ომზე საუბრისას, ეს იდეოლოგიური სკოლა მუდმივად წინ წამოიწევს.

ჩემი მიზანია დღეისთვის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაში ჩამოყალიბებული მითი იმასთან დაკავშირებით, რომ ბუშის ადმინისტრაციამ ერაყის ომის გადაწყვეტილება მიიღო იდეალისტური მიზნებიდან გამომდინარე (ერაყის ვესტერნიზება, ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაცია და ა.შ.) გავფანტო და მივუსადაგო რეალისტურ ჩარჩოს.

ამ თეორიული პერსპექტივიდან კი ნათელი გახდება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი ფაქტორი ის სიტუაცია იყო, რომელიც უსაფრთხოების მიმართულებით დამკვიდრებული გახლდათ იმ დროისთვის აშშ – ში. ერთი მხრივ, გაურკვევლობა, რომელიც არსებობდა აშშ-ში 11 სექტემბრის შემდეგ, მეორე მხრივ, შეცდომაში შესვლა სადაზვერვო სააგენტოებისა, რომლებიც ცალსახად უთითებდნენ, რომ ერაყს გააჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი და ბოლოს, სუფთა სტრატეგიული ინტერესიც – ერაყი უმნიშვნელოვანესი იყო პოლიტიკურად, განსაკუთრებით კი ირანზე ზეწოლის მოსახდენად.

დასკვნის გენერალიზაციის მიმართულებით, ნაშრომის საკვანძო ამოცანა იქნება ის, რომ წარმოაჩინოს ერაყის ომი, როგორც არა განსაკუთრებული შემთხვევა, რომლის მსგავსსაც აშშ აღარ აწარმოებს მისი არსებობის მანძილზე (რომელ აზრსაც დღეს ხშირად შევხვდებით ამერიკულ მედიაში, რომ ერაყის ომის შეცდომები უკვე გაცნობიერებულია და მსგავს „ავანტიურას“ ვეღარავინ წამოიწყებს), არამედ როგორც რიგითი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი.

ვეცდები დავამტკიცო, რომ მსგავსი გადაწყვეტილება, თავისუფლად შესაძლებელია, კიდევ იქნას მიღებული, თუ აშშ კვლავინდებურად დადგა იმ საფრთხეების წინაშე, რომლებიც ემუქრებოდა მას ერაყის ომის დაწყებამდე.

თეორიული ჩარჩო

ნაშრომის ამ ნაწილში ჩამოვაყალიბებ ორი თეორიული პერპექტივის წინაპირობებს, იმას თუ რომელ თეორიას როგორი არგუმენტები აქვს 2003 წლის ერაყის ინტერნვენციის გადაწყვეტილების ახსნასთან დაკავშირებით.

დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ შეიძლება აიხსნას რეალისტური პერსპექტივიდან აშშ-ისა და დასავლური კოალიციის შეჭრა ერაყში:

1. რეალისტური პრიზმიდან, ცივი ომის დასრულებისა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების უდავო გალიდერების შემდეგ, ვაშინგტონმა დაკარგა სტიმული მულტილატერალურ ორგანიზაციებში აქტიური თანამშრომლობისა. ვინაიდან, რეალიზმისთვის თანამშრომლობა არა თვითმიზანი, არამედ ინტერესების დაკმაყოფილების პოტენციური საშუალებაა. (Viotti & Kauppi, 2011) მაშინ გასაკვირი არაა, რომ აშშ-მ თითქმის ერთპიროვნულად მიიღო ერაყში შეჭრის გადაწყვეტილება და არ მოურიგდა საკვანძო პარტნიორებს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შიგნითაც კი.

2. რეალიზმისთვის ეროვნული უსაფრთხოება ყველაფერზე მაღლა დგას, ამის ხაზგასასმელად სხვადასხვა თეორეტიკოსის ნაშრომებში შევხვდებით High/Low Politics -ად დაყოფას საერთაშორისო პოლიტიკური თემებისა. (Viotti & Kauppi, 2011) შესაბამისად, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. ბუშის ადმინისტრაციის მიზანი იყო ისეთი რეჟიმის მოცილება, რომელიც, ერთი მხრივ, შესაძლოა 11 სექტემბერთან იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენდა სერიოზულ საფრთხეს ან გააჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი. ასეთი კი გახლდათ სადამ ჰუსეინის რეჟიმი, რომელსაც სადაზვერვო სააგენტოების მონაცემებით წვდომა ჰქონდა ქიმიურ/ბიოლოგიურ იარაღზე და ამავდროულად, ჰქონდა ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა.

3. რეალისტური პერსპექტივიდან, სახელმწიფოები რაციონალური მოთამაშეები არიან, რომლებიც დანახარჯისა და მოგების გამოთვლებიდან გამომდინარე იღებენ

გადაწყვეტილებას. (Viotti & Kauppi, 2011) აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საკუთარი სტრატეგიის ჩამოყალიბებისას ისაუბრა სამ სახელმწიფოზე, რომლებიც წარმოადგენდნენ ყველაზე დიდ საფრთხეს შეერთებული შტატებისა და მისი პარტნიორების უსაფრთხოებისთვის. (Bush, 2002) ესენი იყვნენ: ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა. თუ შევხედავთ ამ საკითხს ისე, თუ რომელ ქვეყანაში იქნებოდა რეჟიმის ცვლილება ყველაზე ნაკლებად დანახარჯიანი, ერაყი იმთავითვე პირველ პოზიციაზე მოექცევა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, სადამ ჰუსეინის რეჟიმზე 2003 წლამდე, უკვე დეკადის მანძილზე სანქციები იყო დაწესებული, შესაბამისად ის ეკონომიკურად ბევრად სუსტი იყო. რაც შეეხება ირანსა და ჩრდილოეთ კორეას, ირანის შემთხვევაში საქმე გვქონდა ერთ შეკრულ ორგანიზმთან, რომელიც იდეის გარშემო იყო გაერთიანებული, ხოლო ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმას კი შესაძლოა მოეტანა მასობრივი მსხვერპლი აშშ-ის პარტნიორის, სამხრეთ კორეის მოსახლეობაში. ამასთანავე, 9/11-ის მიბმა ერაყთან ბევრად მარტივი იყო (ვინაიდან, „ალ-ქაიდა“ სუნიტური ისლამური დაჯგუფება იყო), ვიდრე შიიტურ ირანთან, ხოლო ჩრდ. კორეის პასუხისმგებლობა ამ კუთხით საერთოდ არ იდგა.

4. რეალისტური ლოგიკით, საერთაშორისო პოლიტიკაში ანარქიული გარემოა, რომლის ფარგლებშიც მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს მეტი ძალაუფლებისა და გავლენისთვის. შესაბამისად, აშშ-ის ინტერესი ჰქონდა ერაყი საკუთარ სამოკავშირეო ბასტიონად ექცია და შეევსო ის უსაფრთხოების ვაკუუმი, რომელიც იმ პერიოდში რეგიონში იყო.

5. ვინაიდან და რადგანაც, ირანი ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური მეტოქე იყო აშშ-ისა ახლო აღმოსავლეთში, ვაშინგტონის ინტერესში იყო შეემცირებინა თეირანის საცეცების წვდომა და მოექცია ის რკალში. ლოგიკა მდგომარეობს შემდეგში, აღმოსავლეთითაც (ავღანეთი) და დასავლეთითაც (ერაყი) აიათოლას რეჟიმი ალყაში მოექცეოდა, რაც გაზრდიდა ვაშინგტონის შანსებს მიეღო დათმობები საკვანძო თემებში და მათ შორის ბირთვულ ბომბზე უარის თქმის საკითხში.

ზემოთ აღნიშნული 5 საკვანძო დებულებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერაყის ომის დაწყების გადაწყვეტილება სუფთა რეალისტური ლოგიკიდან გამომდინარე იქნა მიღებული, თუმცა აქვე განვიხილოთ ისიც თუ რა ახსნას გვთავაზობს ნეოკონსერვატიზმის პერსპექტივა ამ საკითხთან დაკავშირებით.

1. ნეოკონსერვატიული პერსპექტივიდან, საერთაშორისო პოლიტიკაში განვითარებული მოვლენები მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში უნდა იქნას დანახული, ანუ იმ ლოგიკით, რომ ვინც პარტნიორობაზე უარს ამბობს ან არ არის იდეოლოგიურად მსგავსი, მაშინ ის მეტოქეს წარმოადგენს. (Halper & Clarke, 2004) ერაყის შემთხვევაში ეს სახეზე იყო, ერაყი იდეოლოგიურად რადიკალურად განსხვავებული იყო, არ იზიარებდა დემოკრატიულ იდეალებს და ამავდროულად, იყო მეტოქე შეერთებული შტატებისა;

2. ნეოკონსერვატიზმის წამყვანი იდეოლოგები ფოკუსირებას ახდენენ აშშ-ის უნიპოლარულ ძალაზე – სამხედრო ძალის გამოყენება გამოყვანილია, როგორც პირველი არჩევანი და არა, როგორც უკანასკნელი საშუალება. ნებისმიერი სხვა მიდგომა ნეოკონსერვატორების წრეში ხშირად განიხილება, როგორც მიუნხენური დაშოშმინების პოლიტიკის გამოცდილების გაუთვალისწინებლობა. (Halper & Clarke, 2004) აღნიშნული ლოგიკით, ერაყის ომის დაწყების გადაწყვეტილების მიღებაშიც ამ ფაქტორს საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა, აშშ-მ დაიწყო ძალის გამოყენება, მაშინ როცა, მისი ყველა პარტნიორი კოალიციაში არ ჰყავდა.

3. უნიპოლარული მიდგომიდან გამომდინარე, ნეოკონსერვატიული პერსპექტივიდან საერთაშორისო ინსტიტუციებსა და შეთანხმებებს დიდი ყურადღება არ ექცევა, ამის ნათელი მაგალითი იყო ჯერ კიდევ ერაყის ომის დაწყებამდე ბუშის გადაწყვეტილება ანტი-ბალისტიკური რაკეტების შეზღუდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებიდან (ABM Treaty) გამოსვლასა და კიოტოს პროტოკოლზე უარის თქმაზე. ამ ყველაფრის დაგვირგვინება კი იყო ერაყის ომი, გაერო-ს მეშვეობით კონფლიქტის თავიდან აცილებაზე უარის თქმა და ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღება.

4. ნეოკონსერვატიზმის პერსპექტივიდან აშშ-ის მორალური მიზნები და ეროვნული ინტერესები იდენტურია. (Halper & Clarke, 2004) შესაბამისად, აშშ-მ უკან არ უნდა დაიხიოს, თუნდაც რეჟიმების შეცვლისას, რამეთუ ისინი არ არიან დემოკრატიულები, არ ჯდებიან პარტნიორის დეფინიციაში და წარმოადგენენ იდეოლოგიურ მტრებს. როგორც მორალურ, ისე ეროვნულ ინტერესებში ჯდება მათზე ზეწოლის განხორციელება. ერაყის ომის დაწყება სწორედ ამ ტიპის აზროვნების შედეგად შეიძლება იქნას აღქმული.

5. ნეოკონსერვატორთათვის დემოკრატიის გავრცელება საკვანძო ამოცანაა აშშ-ის საგარეო პოლიტიკისა. კრაუტჰამერი წერს: „კომუნიზმის დამცრობასთან ერთად, დემოკრატიის გავრცელება ამერიკის იდეოლოგიური საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად უნდა იქცეს.“ (Krauthammer, 1989/90, p. 47) ამავეს ამბობდა ჯორჯ ბუში 2003 წელს, როდესაც ერაყში დემოკრატიის წარმატებაზე საუბრობდა: „ერაყული დემოკრატია წარმატებული იქნება - და ამბავი ამ წარმატების შესახებ გავრცელდება დამასკოდან თეირანამდე. იქაც გაიგებენ, რომ თავისუფლება ნებისმიერი ერისთვის მისაღწევი ამოცანაა.“ (Bush, 2003)

6. ნეოკონსერვატორთათვის ერაყში დემოკრატიის გავრცელება ამავდროულად უდრიდა რეგიონის სრულად გარდაქმნას. კაგანი და კრისტოლი წერენ: „როგორც კი ერაყი და თურქეთი – ახლო აღმოსავლეთის სამი ძლიერი სახელმწიფოდან ორი მათგანი – იქნებიან პრო-დასავლურ ბანაკში, წარმოიქმნება სერიოზული შანსი იმისა, რომ დანარჩენი პატარა ქვეყნებიც სწორედ ამ ბლოკის მიმართულებით გააკეთებენ არჩევანს.“ (Kagan & Kristol, 2002) ანუ ნეოკონსერვატიული ხედვიდან, დემოკრატის გავრცელებას შეუძლია სერიოზული ეფექტი იქონიოს აშშ-ის პოლიტიკური გავლენის ზრდაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კონკრეტულად ამ შემთხვევაში კი, ერაყის დაკავება ნიშნავდა, მთლიანი ახლო აღმოსავლეთის არქიტექტურის შეცვლას.

ლიტერატურული მიმოხილვა

ნაშრომის ამ ნაწილში მიმოვიხილავ ერაყის ომთან დაკავშირებით არსებულ საკვანძო ლიტერატურას, განსაკუთრებული ყურადღება კი მიექცევა აშშ-ის ხელისუფლებაში იმ დროს მყოფი პირების ავტობიოგრაფიებს, რათა უკეთ ჩავწვდეთ მოვლენათა ჯაჭვს და ამავე დროს, მათი თვალით დავინახოთ ის საფრთხეები, რომლებიც ერაყიდან ემუქრებოდა აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას.

დავიწყოთ, პრეზიდენტი ბუშით, ის საკუთარ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „Decision Points" საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ერაყის ომის პერიპეტიებზე საუბარს, მათ შორის იმას, თუ რა უძღოდა მისი მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას.

ბუში იწყებს იმის თქმით, რომ სადამმა ყველა შესაძლებლობაზე უარი თქვა აღესრულებინა გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუციები – მან უარი თქვა სრულ ინსპექციაზე და 1998 წელს საერთოდ გამოუშვა გაერო-ს ინსპექტორები ერაყიდან, ასევე, არასერიოზულად მოეკიდა ბუშის ულტიმატუმს დაეტოვებინა ქვეყანა 48 საათის განმავლობაში. ბუში აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი აფიქრებინებდა იმას, რომ სადამს რაღაც დასამალი ჰქონდა. რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი, რის გამოც ომზე წასვლაც უღირდა. (Bush, 2011)

ის საკუთარ პასუხისმგებლობას წამოწევს წინ და წერს, რომ არ ჰქონდა არანაირი უფლება ამერიკის აღიარებული მტრისთვის, სადამ ჰუსეინისთვის საშუალება მიეცა დაემალა ინფორმაცია მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებით და განსაკუთრებით იმ საფრთხის პირობებში, რომელიც ემუქრებოდა აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას 11 სექტემბრის შემდეგ. (Bush, 2011)

ბუში ერაყის დეფინიციას შემდეგნაირად აყალიბებს: „არსებობდნენ აშშ-ის აღიარებული მტრები, ასევე მტრული ქვეყნები, რომლებიც საკუთარ მეზობელ სახელმწიფოებს ემუქრებოდნენ. არსებობდნენ ისეთებიც, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ საერთაშორისო მოთხოვნებს და ისეთებიც, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ ინფორმაციას მალავდნენ. ერაყი ამ ყველაფერს ერთ საფრთხეში აერთიანებდა." (Bush, 2011)

ბუში იმასაც იხსენებს, რომ სადამი ერთადერთი ლიდერი იყო, რომელმაც 9/11 - ის შემდეგ აშშ-ის თანაგძნობა არ გამოუცხადა და ორაზროვანი განცხადებები გააკეთა.

ბუში ხაზს უსვამს 11 სექტემბრის მნიშვნელობას, რამეთუ ამ მოვლენამ უფრო აშკარა გახადა საფრთხე. ის წერს, რომ თუ პრიმიტიული იარაღებით შეიარაღებულმა ფანატიკოსებმა შეძლეს თვითმფრინავების გატაცება და ასეთი ზარალის მოყენება, მაშინ რა მოხდებოდა თუ მტრულად განწყობილი დიქტატორი მასობრივი განადგურების იარაღს გადასცემდა ტერორისტებს. (Bush, 2011)

ბუში იხსენებს, რომ ომი, როგორც პირველი არჩევანი მისთვის არასდროს არ იდგა და წერს, რომ იძულებითი დიპლომატიის მიდევნება ცდად ღირდა. ამ დიპლომატიას ორი მიმართულება გააჩნდა: 1. საერთაშორისო საზოგადოების მობილიზება; 2. სამხედრო ძალების მზადყოფნაში მოყვანა და სადამისთვის ჩვენება, რომ თუ ის არ დაემორჩილებოდა საერთაშორისო მოთხოვნებს, მაშინ აშშ აუცილებლად გამოიყენებდა ძალას. (Bush, 2011)

2002 წლის ივლისში მიღებული რეპორტები ყველა სადაზვერვო სააგენტოდან იტყობინებოდა, რომ ერაყი ინარჩუნებდა და ავითარებდა ქიმიური იარაღის პროგრამებს.

ბუში, ამასთანავე, იხსენებს 2002 წლის ზაფხულში მიღებულ შეტყობინებას, რომელიც იუწყებოდა, რომ ალ-ზარქავი და „ალ-ქაიდასთან“ ასოცირებული ჯგუფი ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში ამუშავებდა ლაბორატორიას ქიმიური იარაღის მისაღებად. ამასთანავე „ვიცოდით, რომ ალ-ზარქავი ბაღდადში ორი თვის განმავლობაში იღებდა სამედიცინო დახმარებას. CIA მუშაობდა არაბულ სადაზვერვო სამსახურებთან მის გადმოცემაზე, თუმცა სადამ ჰუსეინისგან უარი იქნა მიღებული.“ (Bush, 2011)

ბუში იხსენებს დიპლომატიურ ფრონტზე მიმდინარე სამუშაოებსაც, გაერო-ში რეზოლუციის გატანაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2002 წლის სექტემბერში, „რადგან ჩავთვალე, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ჯერ კიდევ ბუნდოვანი შეხედულება ჰქონდა სადამის ქიმიური იარაღის პოტენციალზე. სწორედ ამ მიზეზით რეზოლუციის გატანა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ჩვენ გვინდოდა ყველა ეჭვი გაგვეფანტა

და ნათლად დაგვეფიქსირებინა, რომ სადამი ან სრულ ანგარიშს წარმოადგენდა და უარს იტყოდა მიმდინარე მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებზე ან ჩვენ ომზე წავიდოდით.“ (Bush, 2011)

ბუშს დასტურად გაერო-ს იარაღების ინსპექტორის ჰანს ბლიქსის სიტყვები მოჰყავს, რომელიც 2003 წლის 27 იანვარს ამბობს, რომ ერაყის მიერ წარმოდგენილი 12 000–გვერდიანი ანგარიში სრულად არ ფენს ნათელს საკითხს და სადამ ჰუსეინს გააჩნია ისეთი ტიპის იარაღები, რომლებიც აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილი არ იყო. ჰანს ბლიქსი მინიშნებას ქიმიური იარაღის არსებობაზეც აკეთებდა. „როგორც ჩანს ერაყი დღესაც არ ეგუება განიარაღების მოთხოვნას, ჩვენი მხრიდან.“ – ამბობდა ბლიქსი.

ბუში იმ ფაქტებსაც აყალიბებს, რომლებსაც აშშ-ის ერაყში შეჭრამდე ჰქონდა ადგილი და ამტკიცებს, რომ სადამს საკმარისი დრო ჰქონდა სრულად წარმოედგინა ინფორმაცია და უარი ეთქვა უკანონო პროგრამებზე. „როდესაც ამბობენ, რომ ჩვენ ვიჩქარეთ ომში წასვლა, აუცილებელია ფაქტები გავიხსენოთ – უკვე დეკადა იყო გასული მას შემდეგ რაც სპარსეთის ყურის პირველი ომისთანავე გაერო-მ რეზოლუციები მიიღო, რომლითაც მოითხოვდა განიარაღებას. 4 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინმა გაერო-ს ინსპექტორები გამოყარა. 6 თვე მას შემდეგ, რაც გაერო-ში სიტყვით გამოსვლისას გავაცხადე მუქარა, რომლის მიხედვითაც სადამი ან მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებულ ყველა პროგრამაზე უარს იტყოდა, ან ომი გარდაუვალი იქნებოდა. 4 თვე მას შემდეგ, რაც გაერო-მ მიიღო რეზოლუცია 1441 და 3 თვე დედლაინიდან, რომელიც ავალდებულებდა სადამს სრულად გაეხსნა მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) პროგრამები საერთაშორისო საზოგადოებისთვის.“ (Bush, 2011)

საკუთარი გადაწყვეტილების ახსნისას, ბუში წერს: „ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვეძლო სადამის შეკავება ინსპექტორების უფრო ხანგრძლივად დატოვებით, თუმცა მას შემდეგ, რაც გამოვაცხადეთ, რომ ეს ბოლო შანსი იქნებოდა სადამისთვის, კიდევ უფრო მეტი დროის მიცემა ერაყისთვის ნიშნავდა იმას, რომ, ერთი მხრივ, დროს გავწელავდით, ხოლო, მეორე მხრივ, დავკარგავდით სანდოობას, ვაგრძნობინებდით რა სადამ ჰუსეინს,

რომ ჩვენი მუქარა არაფერს ნიშნავდა და ამით კიდევ უფრო გავაძლიერებდით მას.“ (Bush, 2011)

ერაყის ინტერვენციის გადაწყვეტილების შესახებ წერს ბუშის ადმინისტრაციის მეორე პირი, ვიცე პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი საკუთარ მემუარებში “In My Time – A Personal and Political Memoir”. ერაყის ომის წინა პერიოდის განხილვისას ის ისტორიას იხსენებს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი უთმობს 1988 წელს ჰალაბჯაში განვითარებულ მოვლენებს, როცა სადამმა ქიმიური იარაღი გამოიყენა. ჩეინისთვის ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰუსეინს ჰქონდა მზაობა ამ ტიპის ნაბიჯის გადადგმისა, შესაბამისად საფრთხე მყისიერი იყო.

ჩეინი ბირთვული ბომბის მოსაპოვებლად სადამ ჰუსეინის ნაბიჯებსაც იხსენებს და წერს, რომ „1991 წლის სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მიზანთან ის ბევრად ახლოს იყო ვიდრე ჩვენ გვეგონა. IAEA - ს (ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო) ანგარიშის მიხედვით, რომ არა ოპერაცია Desert Storm - ი მას ექნებოდა ბირთვული აგენტი 1992 წლისთვის. და მიუხედავად სანქციების დაწესებისა (რომელთა მიმართაც მხარდაჭერა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დრო და დრო კლებულობდა) სადამი ამ მიზნის მიღწევისგან უკან დახევას არ აპირებდა.“ (Cheney, 2012)

ჩეინი კიდევ ერთ ფაქტს გამოყოფს – 1999 წლიდან ერაყის შეიარაღებული ძალები ისვრიან ბრიტანული და ამერიკული თვითმფრინავების მიმართულებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ერაყის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში არა–საფრენი ზონის შექმნას, შიიტური და ქურთული მოსახლეობის დასაცავად.

ჩეინი წერს სადამ ჰუსეინის რეჟიმის ტერორიზმთან კავშირების შესახებაც. 1993 წელს ერაყის სადაზვერვო სამსახურმა (Iraqi Intelligence Service) სცადა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უფროსის მკვლელობა. ჩეინი ასევე იხსენებს იმ ფაქტსაც, რომ ერაყი მფარველობდა აბდულ რაჰმან იასინს, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე 1993 წელს შეტევის ერთ-ერთ ორგანიზატორს. ბუშის მსგავსად ის იხსენებს ალ-ზარქავის ოპერირებას ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში და წერს, რომ ადმინისტრაციას არ შეეძლო ეს ფაქტი

ყურადღების გარეშე დაეტოვებინა. ამიტომაც მალევე რამსფელდი იწყებს საომარი გეგმის მზადებას ერაყში სადამ ჰუსეინის ჩამოსაგდებად.

იმის დასამტკიცებლად, რომ ომი პირველი არჩევანი არ იყო, ჩეინი წერს იმასაც, რომ CIA - მ ორგანიზება გაუწია საიდუმლო გეგმების მზადებას, რათა შიდა ოპოზიციური მოძრაობების საშუალებით მოეხერხებინათ სადამის მოშორება. თუმცა ამის განხორციელება, ერთი მხრივ, რთული იყო იმის გამო, რომ ოპოზიციური სივრცე ერაყში პრაქტიკულად არ არსებობდა, ხოლო, მეორე მხრივ, იმიტომ რომ 1991 წლის იმედგაცრუების შემდეგ (როცა აშშ გვერდით გადგა აჯანყებისას) ერაყელები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი მოქმედების შემთხვევაში აშშ-ის მხარდაჭერის მიმართ. (Cheney, 2012)

ჩეინი იხსენებს Wall Street Journal - ში გამოქვეყნებულ სტატიას ბრენტ სქოუქროფტის მიერ, რომელიც ოპოზიციურად იყო განწყობილი ომის მიმართ. ჩეინი მსგავსი განწყობის მქონე ადამიანებს 9/11-მდელ ეპოქაში მცხოვრებებს უწოდებს, რომლებმაც ვერ გადაიზრეს, რომ ახალი ეპოქა დადგა, რომელშიც „ჩვენ ყველაფერი უნდა გვეღონა, რომ იგივე არ განმეორებულიყო.“ (Cheney, 2012)

ჩეინი წერს, რომ NSC - ის შეხვედრებზე ყველა თანხმდებოდა, რომ სადამ ჰუსეინის ხელისუფლებაში დატოვება სიცოცხლისუნარიანი არჩევანი არ იყო. მას ასევე მტკიცებულებად მოჰყავს National Intelligence Estimate დოკუმენტი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ერაყი აგრძელებდა ქიმიურ პროგრამას და ამასთან, ბირთვული იარაღი მსგავსი ტემპით გაგრძელების შემთხვევაში შეეძლო მიეღო ათწლეულის განმავლობაში.

იმას, რომ ერაყის საფრთხე კარგად იყო დასაბუთებული, ჩეინის აზრით ისიც მოწმობს, რომ 2002 წლის 10 ოქტომბერს როგორც წარმომადგენელთა პალატამ (269 ხმით 133 - ის წინააღმდეგ), ისე სენატმა (77 ხმით 23-ის წინააღმდეგ) მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც ავტორიზებას ახდენდა ძალის გამოყენებისა ერაყში.

არანაკლებ საინტერესოა, ბუშის ადმინისტრაციაში თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის წიგნი “Unknown Known”, რომელშიც ავტორი ომის წინაპერიოდს განიხილავს. რამსფელდი წერს, რომ სადამის რეჟიმი ამტკიცებდა, რომ ქიმიური იარაღი არ გააჩნდა, თუმცა გაერო-ს ინსპექტორებს არც ერთ ჯერზე არ უთქვამთ, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამებოდა. ინსპექტორები ვერ შედიოდნენ მთელ რიგ დაწესებულებებში.

რამსფელდი იხსენებს, რომ, მართალია, კლინტონის ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის მადელინ ოლბრაიტი ამტკიცებდნენ, რომ სადამი საკუთარ ნაჭუჭში ამოკეტეს და მისგან საფრთხე არ მოდიოდა, დარჩენილი იყო სერიოზული ფინანსური წყაროები, რომელთაგანაც ერაყის ხელისუფლება ფინანსურ რესურსებს იღებდა. (Rumsfeld, 2012)

მათ შორის ერთ - ერთი ასეთი საშუალება, რამსფელდის ხედვით, გაერო-ს პროგრამა “Oil-for-food Program” იყო. ის ასკვნის, რომ ბუშის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლისას ერაყის შეკავების სტრატეგია, რომელიც გასული ათწლეულის განმავლობაში მუშაობდა, უკვე აღარ შეესაბამებოდა თანამედროვეობას და ვეღარ უზრუნველყოფდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის განეიტრალებას.

რამსფელდი იმის დასადასტურებლად, რომ სადამ ჰუსეინის ომით მოშორება აშშ-ისთვის პირველი არჩევანი არ იყო, იშველიებს მის მიერ 2001 წლის ზაფხულში დაწერილ დოკუმენტს, რომელშიც საუბრობს სადამთან ურთიერთობების დალაგების შესაძლებლობაზე, იმ შემთხვევაში თუ ის უარს იტყოდა საკუთარი ქიმიური იარაღის პოტენციალსა და ბირთვულ ბომბზე ოცნებაზე. (Rumsfeld, 2012)

რამსფელდი ტერორიზმთან სადამ ჰუსეინის კავშირზეც საუბრობს და მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისშივე აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ერაყს არაფერი ჰქონდა საერთო 9/11-ის ტერაქტთან, წერს, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორიზმის დამფინასებელთა სიაში ერაყი ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იყო. ჰუსეინი 25 000 $ - ს უხდიდა კამიკაძე ტერორისტებს, რომლებიც ისრაელის წინააღმდეგ აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს. ამავე დროს, ერაყში მოქმედებდნენ მთელი რიგი ტერორისტული

დაჯგუფებები, მათ შორის – Myjahedin-e-Khalq, Palestinian Liberation Front, The Popular Front for the Liberation of Palestine და Arab Liberation Front.

ინტერვენციის გასამართლებლად, რამსფელდის ერთ-ერთი არგუმენტი ის არის, რომ ჰუსეინი არ ემორჩილებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს და ასე გაგრძელებისა და დაუსჯელობის შემთხვევაში სხვა ქვეყნების ლიდერებიც იფიქრებდნენ, რომ საერთაშორისო სტაბილურობის დარღვევა მიღებული გზაა პოლიტიკის წარმოებისა, რაც მნიშვნელოვნად შეარყევდა არსებულ საერთაშორისო პოლიტიკურ წესრიგს.

რამსფელდი მისი თანაგუნდელების მსგავსად ხაზს უსვამს იმასაც, რომ 11 სექტემბრის ტერაქტმა მნიშვნელოვნად შეცვალა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წარმოების ხასიათი. აშშ-ის პრეზიდენტს უკვე აღარ შეეძლო დაეცადა იქამდე, სანამ რომელიმე ტერორისტული ორგანიზაცია ან რომელიმე სახელმწიფო მასზე შეტევას განახორციელებდა, არამედ ეზრუნა პრევენციაზე და იქამდე უზრუნველეყო უსაფრთხოება, სანამ სერიოზულ დანაკარგებს განიცდიდა. (Rumsfeld, 2012)

რამსფელდი იხსენებს 2002 წლის აგვისტოში გამართულ შეხვედრას, სადაც CIA-ის დირექტორის მოადგილემ ჯონ მაკლაფინმა მონაცემები წარმოადგინა ერაყზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ ინფორმაციას:

1. ერაყმა ისევ გახსნა ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოების დაწესებულებები;
2. 3200 ტონა ქიმიური იარაღი აღურიცხველია საერთაშორისო ინსპექტორების მხრიდან;
3. აღნიშნული მარაგების გამოყენებისთვის გააჩნია სარაკეტო მოწყობილობები;
4. სადამ ჰუსეინის რეჟიმს ჰყავს იგივე ექსპერტები დასაქმეული აღნიშნულ დაწესებულებებში, რომლებიც ჰყავდა ბირთვულ პროგრამაზე სპარსეთის ყურის პირველი ომის წინ;
5. ერაყს აქვს პოტენციალი ჰქონდეს ბირთვული ბომბი 1 წლის განმავლობაში.

რამსფელდი წერს, რომ მსგავსი ინფორმაციები ვაშინგტონში მიდიოდა მრავალი სხვა ქვეყნიდან – ბრიტანეთიდან, ავსტრალიიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან. ერაყთან მიმართებით პრობლემებს ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით აღიარებდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქიც. (Rumsfeld, 2012)

რამსფელდი, ამასთანავე, უარყოფს იმ აზრს, რომ ერაყში შესვლის ერთადერთი მიზეზი მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენა იყო. ის აყალიბებს სხვა არაერთ დარღვევას სადამ ჰუსეინის რეჟიმის მხრიდან, რომლებიც აბსოლუტურად მიუღებელი იყო აშშ-ისთვის – ტერორიზმის მხარდაჭერა, ცეცხლის გახსნა აშშ-ის თვითმფრინავებზე არასაფრენი ზონის დაცვისას, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დარღვევა, მისი მეზობლების მიმართ აგრესიული საგარეო პოლიტიკა, რის გამოც აშშ ვალდებული იყო საუდის არაბეთში შეენარჩუნებინა სამხედრო კონტინგენტი. რამსფელდი აღიარებს, რომ მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღზე კონცენტრირება ომის წინა პერიოდში, ადმინისტრაციის მთავარი შეცდომა იყო. (Rumsfeld, 2012)

რამსფელდი იმ კონგრესმენების სახელებსაც იხსენებს, რომლებიც ომის წინა პერიოდში სრულად ემხრობოდნენ ერაყში ინტერვენციას, თუმცა მოგვიანებით შეიცვალეს აზრი, ესენი იყვნენ – ჯო ბაიდენი, ჰილარი კლინტონი, ჯონ კერი, ალ გორი და სხვები. ამით რამსფელდს იმის დამტკიცება სურს, რომ სადამ ჰუსეინი მართლაც საფრთხე იყო აშშ-ის ეროვნული ინტერესებისთვის და ეს იმდენად ცხადი გახლდათ, რომ ამ მტკიცებას ორპარტიული მხარდაჭერა ჰქონდა.

ერაყის მოვლენებზე წერს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯორჯ ბუშის მრჩეველი კონდოლიზა რაისი საკუთარ წიგნში “No Higher Honor”. ის თავიდანვე აღნიშნავს, რომ სადამზე ყველა ტიპის ბერკეტის გამოყენება ხდებოდა - დიპლომატიური იზოლაცია, იარაღის ინსპექცია, ეკონომიკური სანქციები, მოგზაურობის უფლების შეზღუდვა, სანავთობო და იარაღის ემბარგო, არასაფრენი ზონების შემოღება და სამხედრო ძალა (ქუვეითიდან ერაყის არმიის განდევნის ეპიზოდში).

რაისი წერს, რომ მოვლენებზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ იმ მწირი ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელიც სადაზვერვო სააგენტოებს გააჩნდათ მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ, ძალიან რთული იყო სწორი ანალიზის გაკეთება. ყველაზე მთავარი, რაისის აზრით, ის იყო, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმს გააჩნდა know-how იმისა, თუ როგორ ეწარმოებინა ამ ტიპის იარაღი.

რაისი იხსენებს ისტორიას და წერს, რომ აშშ ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყო და არ უნდა გამორჩენოდა არც ერთი დეტალი, რამეთუ წინ ედო საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის გამოცდილება, რომლებმაც ბირთვული იარაღის გამოცდა იმ დროს შეძლეს, როდესაც ამერიკის სადაზვერვო სამსახურებს ამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ. მსგავსის დაშვება ერაყის შემთხვევაში, შესაძლოა, კატასტროფულად დასრულებულიყო. (Rice, 2012)

აშშ-ს, ასევე, არ შეეძლო იმ დასკვნის გამოტანა, რომ ერაყი არ გადასცემდა მასობრივი განადგურების იარაღს ტერორისტებს, რამეთუ ექნებოდა შიში შემდგომ აშშ-ის მხრიდან გადადგმული ნაბიჯებისა. დასავლეთს წინ ჰქონდა გამოცდილება, რომ მსგავსმა შიშებმა არ შეუშალეს ხელი სადამ ჰუსეინს გადაედგა ნაბიჯი, ერთი მხრივ, 1990 წელს ქუვეითის ოკუპაციისას და მეორე მხრივ, 1993 წელს ჯორჯ ბუში უფროსის მკვლელობის მცდელობის ორგანიზებისას.

რამსფელდის მსგავსად, რაისი არ ეთანხმება იმ მოცემულობას თითქოს აშშ ერაყთან ომზე მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის გამო წავიდა, ის წერს: „სადამ ჰუსეინი იყო კიბო ახლო აღმოსავლეთისთვის, რომელმაც ომი დაიწყო მეზობლებთან და გადაისროლა რეგიონი ქაოსში. ამასთანავე, მან ჩაითრია აშშ დაპირისპირებაში 2-ჯერ. ერაყის შეიარაღებული ძალები ესროდნენ ჩვენს თვითმფრინავებს, სანქციების რეჟიმი კი სუსტებოდა. ერაყის სადაზვერვო სამსახურებმა სცადეს ჯორჯ ბუში უფროს მკვლელობა და მხარს უჭერდნენ და იფარავდნენ მთელ რიგ ტერორისტულ დაჯგუფებებს.“ (Rice, 2012)

რაისი მთლიანობაში ომის სტრატეგიული მოტივებით გამართლების აუცილებლობას ხედავს და ინტერვენციის გადაწყვეტილებას არ აღიქვამს, როგორც მხოლოდ აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების მუშაობის ჩავარდნის შედეგს.

ისტორიული კონტექსტი

აშშ–ის ერაყისადმი დამოკიდებულებისა და მისი ინტერესების უკეთ გასაცნობიერებლად, აუცილებელია მიმოვიხილოთ ის ისტორიული კონტექსტი, რომელიც არსებობდა ამ ორ ქვეყანას შორის 2003 წლის ინტერვენციის დაწყებამდე.

აშშ-ერაყის ურთიერთობები 1958 წლამდე. მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკის შეერთებული შტატები ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა ერაყისა და ზოგადად რეგიონის მიმართ. თუმცა ამერიკის სანავთობო კორპორაციებს ამ დროისთვის მოღვაწეობა უკვე დაწყებული აქვთ, უფრო კონკრეტულად კი, მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან. ამერიკულ კორპორაციას Iraq Petroleum Company-ს (IPC) 1928 წლისთვის მთლიანი ერაყული პროდუქციის 23.75 % ეჭირა.

როცა ნაცისტური გერმანიის დომინაციის საფრთხემ იმატა, ამერიკამ მხარი დაუჭირა ბრიტანეთის მცდელობას, დაეშოშმინებინათ პრო-გერმანელი ერაყელი რაშიდ ალი ალ-გაილანი, რომელიც რამდენჯერმე მცირე ხნით იკავებდა კიდეც პრემიერ-მინისტრის პოსტს. ამერიკელები ასევე მხარს უჭერდნენ ერაყული მონარქიის აღდგენას, რომელიც თანამშრომლობდა მოკავშირეებთან, მათი საომარი მიზნების განსახორციელებლად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აუცილებლობა ერაყთან თანამშრომლობისა კიდევ უფრო გამძაფრდა, რამეთუ ამჯერად შეიქმნა საფრთხე ერაყზე საბჭოთა კავშირის გავლენის განვრცობისა. რამეთუ ბრიტანეთი ამ დროისთვის, ომის შემდეგ უკვე ძალაგამოლეულია, აშშ უფრო ღრმად ერთვება ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ თამაშებში. თუმცა რეგიონული ტენდენციები აშშ-ის წინააღმდეგ მოქმედებს. 1948-49 წლების არაბ-ისრაელის ომმა ანტი-დასავლური ნაციონალიზმი წარმოშვა და ერაყის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში გააჩინა უარყოფითი დამოკიდებულება პრო-დასავლური მონარქიის მიმართ.

1940-50 – იან წლებში აშშ-ს აქვს ერაყის სტაბილიზაციის მცდელობები, მათ შორის მოლაპარაკებების მეშვეობით ერაყული კონტინგენტის გამოყვანა არაბ-ისრაელის კონფლიქტის სცენიდან. ასევე აშშ-მ აიძულა Iraq Petroleum Company (IPC) გაეზარდა

წარმოება და უფრო მეტი დაეთმო შემოსავლებიდან ერაყის ხელისუფლებისთვის. ამას გარდა, აშშ-მ დაიწყო პირდაპირი ეკონომიკური და სამხედრო დახმარებების აღმოჩენა ბაღდადის მიმართ.

1955 წლისთვის ერაყი შედის ბაღდადის პაქტში, რომელიც წარმოადგენს ანტი-საბჭოთა თავდაცვის პარტნიორობას, რომელშიც გაწევრიანებულნი არიან – ირანი, პაკისტანი, თურქეთი და ბრიტანეთი. აშშ არაფორმალურ მხარდაჭერას აცხადებს აღნიშნული ინიციატივის მიმართ.

შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს ერაყი სრულფასოვნად გახდა ანტი-კომუნისტური გუნდის წევრი და მოხერხდა მისი დასავლური პარტნიორობის რელსებზე გადმოყვანა. თუმცა ეს ილუზია გამოდგა – 1958 წლის ივლისში ერაყელმა ოფიცრებმა, რომლებიც გამალ აბდელ ნასერის მოქმედებებით იყვნენ აღფრთოვანებულნი, მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, დაამყარეს აშკარა ანტი-დასავლური ხასიათის რეჟიმი. აიზენჰაუერმა უარი თქვა სამხედრო ჩარევაზე და ამ ფორმით კონტრ-რევოლუციური მოძრაობების წახალისებაზე. 1958 წელი შევიდა ისტორიაში, როგორც აშშ-ის მცდელობის, მოეხდინა მთელი ახლო აღმოსავლეთის ანტი-კომუნისტურ ბასტიანად ქცევა, ჩავარდნა.

აშშ-ერაყის ურთიერთობები 1958-1979 წლებში. მეორე ფაზა აშშ-ერაყის ურთიერთობებისა სწორედ სახელმწიფო გადატრიალებისა და მონარქიის გადავარდნის შემდეგ იწყება. 1958 წლის რევოლუციას ერაყში სტაბილურობა არ მოუტანია, მეტიც, მეორე ფაზა მოიცავს რევოლუციებს 1963, 1968 და 1979 წლებში. ამ არეულობებს ის იწვევდა, რომ ნაციონალისტები, რომლებიც ხელისუფლების კონსოლიდაციას ცდილობდნენ საგარეო იმპერიალიზმის ამოკვეთის გზით, თან ეჯახებოდნენ ადგილობრივ კომუნისტებს, რომელთაც უფრო მეტი გავლენა და ძალაუფლება სურდათ. მეორე დამაბრკოლებელი ფაქტორი კი ის გახლდათ, რომ მოსახლეობა ჩრდილოეთ ერაყში ეწინააღმდეგებოდა ბაღდადის კონტროლს.

ერაყი ამ პერიოდში საგარეო ფრონტზე ცდილობს დამოუკიდებლად იმოქმედოს, რევერანსებს აკეთებს საბჭოთა კავშირის მიმართულებით, თუმცა ცივი ომის ფარგლებში

ცდილობს ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს. ერაყი შიდა რეგიონულ კონტექსტში დომინაციას ესწრაფვის, სადაც მთავარი მეტოქე ნასერის ეგვიპტეა.

აშშ სტაბილური ურთიერთობის აგებას ცდილობდა და ამ მიმართულებით ერთი მთავარი მიზანი იყო გამოკვეთილი – არ დაეშვა ცალსახად პრო-კომუნისტური რეჟიმის მოსვლა ბაღდადში. ამასთან, რაიმე ტიპის დემოკრატიის მხარდაჭერაზე თეთრი სახლის მხრიდან არანაირი საუბარი არაა, რამეთუ ვაშინგტონი შიშობს, რომ მსგავსი რიტორიკა გაუცხოების წინაპირობა შეიძლება გახდეს, რაც უბრძოლველად ჩაუგდებს ბაღდადს საბჭოთა კავშირს კლანჭებში. ამავე პერიოდში ხდება მშვიდობიანი შეწყვეტა ერაყის მონაწილეობისა ბაღდადის პაქტში, აშშ-ის შუამავლობით 1961 წელს თავიდან იქნა აცილებული ქუვეითის გამო ერაყსა და ბრიტანეთს შორის კონფლიქტი.

ამასთან, მიუხედავად მონარქიის ჩამოგდებისა ერაყის ფინანსური დახმარება აშშ-ის მხრიდან მაინც გრძელდება. ბიზნეს-შესაძლებლობები ამერიკულ კორპორაციებს კვლავინდებურად გააჩნიათ. რაიმე მხარდამჭერი განცხადებები ერაყის ქურთების მიმართ იმ დროისთვის ვაშინგტონიდან არ ისმის.

60-იანი წლების ბოლოდან კი ურთიერთობები ფუჭდება. ეს ძირითადად 1967 წლის 6-დღიანი კონფლიქტის გამო ხდება, სადაც აშშ სრულად არაბული სამყაროს მიერ შეფასდა, როგორც ერთ-ერთი დამნაშავე ეგვიპტის მარცხში. 70-იანი წლების დასაწყისიდან ერაყმა აშშ-ის კორპორაციების საკუთრებაში მყოფი სანავთობო ინფრასტრუქტურის ნაციონალიზაცია მოახდინა და საბჭოთა კავშირთან დაიწყო ამ სფეროში თანამშრომლობა.

აშშ-მ საპასუხოდ ქურთების გაძლიერება დაიწყო, ერაყის ხელისუფლების შიგნიდან შესასუსტებლად, რამაც ანტი–ამერიკული სენტიმენტები ბაღდადიდან კიდევ უფრო წაახალისა.

აშშ-ერაყის ურთიერთობები 1979-1990 წლებში. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მესამე ფაზა 1979 წელს იწყება, როდესაც სადამ ჰუსეინი იღებს ხელისუფლებას. ის სწრაფადვე

უსწორდება მეტოქეებს, აშენებს საშინაო სტაბილურობას, რაც 1958 წლის რევოლუციიდან მოყოლებული ყველაზე მეტად აკლდა ერაყს.

სადამი თავის თავს სეკულარად და ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ მთავარ ბასტიონად წარმოაჩენს. ეს იმიჯი განსაკუთრებით აშშ-ის თვალშია მომგებიანი, რამეთუ აიათოლა ამ დროისთვის მთელ ისლამურ სამყაროს ემუქრება რევოლუციური იმპულსის გავრცელებით.

წარმოქმნილმა დაძაბულობამ ერაყსა და ირანს შორის, ლოგიკური შედეგიც ჰპოვა. 1980 წლის სექტემბერში ერაყმა ირანზე სრულმასშტაბიანი შეტევა დაიწყო. მიუხედავად საწყისი წარმატებისა, 1982 წლისთვის ჩიხი ყალიბდება, როდესაც ვერც ერთი მხარე ვეღარ ცვლის სურათს, ჩიხი კი თავდაპირველი მდგომარეობით ხასიათდება. ომის საწყის ეტაპზე აშშ ნეიტრალურობას ინარჩუნებდა, თუმცა 1982 წლიდან რეიგანი ერაყისკენ გადაიხარა, დაიწყო ბაღდადისადმი ეკონომიკური დახმარების გაცემა, აღადგინა დიპ. ურთიერთობები, შედგა სადაზვერვო მონაცემების გაცვლა ირანული ძალების სამხედრო პოზიციებთან დაკავშირებით.

ამავე დროს, ვაშინგტონის მხრიდან პრაქტიკულად პროტესტი არ მოჰყოლია ირანელებისა და თავად ერაყის მოქალაქეების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტს (CIA-ს ჩართულობაზე დღესაც მითქმა-მოთქმა არ წყდება). 198-88 წლებში შეტაკებები მოხდა აშშ-ისა და ირანის საზღვაო ძალებს შორისაც კი, როცა ამერიკელების მიერ ერაყული ტანკერების დაცვა ხორციელდებოდა.

1988 წლის ივლისში, ერაყსა და ირანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გაფორმდა, რაშიც საკუთარი წვლილი აშშ-მაც შეიტანა. ორი დასუსტებული და ძალაგამოცლილი სახელმწიფო ვაშინგტონსაც აწყობდა ზედმეტი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა კომუნიზმის გავრცელების საფრთხე უკვე პრაქტიკულად აღარ არსებობდა.

აშშ-ერაყის ურთიერთობები 1989-2003 წლებში. ირანთან ომმა ერაყს მილიარდობით დოლარის ზარალი მოუტანა. საჭირო იყო ახალი ფინანსური წყაროს პოვნა, რათა დასუსტებული ეკონომიკა მალე გაძლიერებულიყო. ამის გასაკეთებლად სადამ ჰუსეინმა ტერიტორიული გაფართოება ქუვეითის ხარჯზე და მისი სანავთობო პოტენციალის ხელში ჩაგდება განიზრახა. ჰუსეინს მკვეთრი ნაბიჯით წარუმატებელი ომის პირობებში შელახული იმიჯის აღდგენა სურდა. 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ქუვეითზე სრულმასშტაბიანი შეიარაღებული შეტევა დაიწყეს. პატარა სახელმწიფო მალევე იქნა აღებული, ხოლო ამერიკაში გაჩნდა აზრი, რომ რეაქციის გარეშე ამ ამბის დატოვება გამოიწვევდა სადამ ჰუსეინის ეკონომიკური პოტენციელის მკვეთრ ზრდას და საფრთხის ქვეშ დადგებოდა რეგიონული ძალთა ბალანსი.

აშშ-ის პასუხი ამ საკითხთან მიმართებით ორ დონეზე გადანაწილდა: 1. სამხედრო პასუხი; 2. შეკავება. სადამმა ქუვეითის დატოვებაზე უარი განაცხადა, რის საპასუხოდაც 1991 წლის იანვარში აშშ-მ, კოალიციასთან ერთად და გაერო-ს ავტორიზაციით, დაიწყო ოპერაცია Desert Storm-ი. ქუვეითის გათავისუფლება წარმატებით მოხერხდა, თუმცა ჯორჯ ბუში უფროსის ადმინისტრაციამ ბაღდადზე წასვლა ვერ გარისკა და შიდა ჯგუფების წახალისებით ისურვა ჰუსეინის მთავრობის განეიტრალება. მართლაც, მოხდა მასობრივი აჯანყებები ერაყის ქურთულ და შიიტურ ნაწილში, თუმცა დახმარების გარეშე დარჩენილი უიარაღო მოსახლეობას რეპრესიები დაატყდა თავს, სადამმა ძალაუფლების კონსოლიდაცია წარმატებით მოახერხა.

ბუში უფროსის ადმინისტრაცია ბილ კლინტონმა შეცვალა. მან ერაყის მიმართულებით მრავალმხრივი შეკავების ამოქმედება დაიწყო. ამასთან ერთად, ე.წ. არასაფრენი ზონები დაწესდა (No-fly zone) ერაყის სამხრეთსა და ჩრდილოეთში, რამეთუ თავიდან ყოფილიყო აცილებული შიიტებისა და ქურთების მასობრივი ჟლეტა. აშშ-ის ინიციატივითვე გაერო-მ შეინარჩუნა მასობრივი სანქციების რეჟიმი ერაყზე, მანამ სანამ სადამი არ დაემორჩილებოდა რეზოლუციებს, მათ შორის მოწოდებას მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) პროგრამების შეწყვეტის შესახებ.

1999 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია – „ერაყის განთავისუფლების აქტი“ (Iraq Liberation Act), რომელიც დეკლარირებდა, რომ „აშშ-ის პოლიტიკა ერაყში უნდა იყოს სადამ ჰუსეინის მოცილების მხარდაჭერა.“

ასეთი დაძაბული ატმოსფეროთი მივიდა აშშ-ერაყის ურთიერთობა 2001 წლის 11 სექტემბრამდე, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება, ხოლო რა იყო ომის წინა პერიოდში არსებული საკვანძო ფაქტები ამაზე იმ თავში ვისაუბრებ, სადაც უშუალოდ ერაყის წინააღმდეგ ომის ამერიკულ ქეისს განვიხილავ.

უსაფრთხოების საკითხი საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ თეორიაში

იმის გასაცნობიერებლად, თუ რატომ ჯდება უსაფრთხოების მიმართულებით ერაყის კონფლიქტის განხილვა რეალისტურ ჩარჩოში, აუცილებელია მიმოვიხილოთ რამდენიმე რეალისტი მკვლევრისა და მეცნიერის მოსაზრებები, რომლებიც საუბრობენ უსაფრთხოების საკითხზე და განმარტავენ ამ კონცეფციის როლს სახელმწიფოთა მოქმედებების მიმართულებით საერთაშორისო პოლიტიკაში.

რეალიზმზე საუბრისას, ცხადია, პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ მის ერთ–ერთ მთავარ ფუძემდებელზე და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში უდიდესი წვლილის შემტან ჰანს მორგენთაუზე. ის ნაშრომში „ეროვნული ინტერესების დასაცავად“ უსაფრთხოების საკითხს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს და წერს: „დაიმახსოვრეთ, რომ იზოლირებული ჩვეულებრიობის ეპოქა დასრულდა და ვერანაირი მცდელობა, მიუხედავად მისი რადიკალურობისა თუ კეთილი განზრახვებისა, მას უკან ვერ დააბრუნებს. დაიმახსოვრეთ, რომ დიპლომატია ძალის გარეშე არაფრისმომცემია და ძალაუფლება დიპლომატიის გარეშე დესტრუქციული და ბრმაა.“ (Morgenthau, 1951, p. 241)

მორგენთაუ არსებული წესრიგის არსს შემდეგნაირად განმარტავს: „მიუხედავად ღრმა ცვლილებებისა, რაც მოხდა მსოფლიოში, ერთი რამ მაინც უცვლელი რჩება, რჩება ისეთად, როგორც წარსულში იყო – სახელმწიფო იმყოფება კონფრონტაციაში სხვა სახელმწიფოებთან და აქვს ერთი მთავარი ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთარი ინტერესები – თუ სახელმწიფო თავად არ მიხედავს თავის ინტერესებს, მაშინ ამას სხვა არავინ გააკეთებს.“ „სახელმწიფო, რომელიც იღებს რჩევებს და მუდმივად ემორჩილება მას, თვითმკვლელობაზე აწერს ხელს და ხდება მსხვერპლი სხვა სახელმწიფოებისა, რომლებმაც იციან, თუ როგორ მისდიონ საკუთარ ეროვნულ ინტერესებს.“ (Morgenthau, 1952)

მორგენთაუ არ გამორიცხავდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივით სხვა სახელმწიფოებში ინტერვენციის აუცილებლობასაც: „ჩვენ უნდა განვახორციელოთ

ინტერვენციები მაშინ, როდესაც ჩვენი ეროვნული ინტერესები ამას მოითხოვს და როდესაც ჩვენს ხელთ არსებული ძალაუფლება გვაძლევს ამა თუ იმ კონფრონტაციაში წარმატების შანსს. მსგავსი გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იყოს არა იდეოლოგიური ვალდებულებების გამო, არამედ ინტერესებისა და ძალის ფრთხილი გაანგარიშებით. თუ აშშ ამ სტანდარტით იხელმძღვანელებს, ის ინტერვენციებს განახორციელებს იშვიათად, თუმცა წარმატებას ხშირად მიაღწევს.“ (Morgenthau, 1967, p. 436)

საერთაშორისო პოლიტიკაში უსაფრთხოების საკითხზე საუბრისას, მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას მიმოხილული არის არნოლდ უოლფერსის „ეროვნული უსაფრთხოება, როგორც ბუნდოვანი სიმბოლო“, რომელიც 1952 წელს იქნა გამოცემული.

უოლფერსი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოღვაწეები, პუბლიცისტები და მეცნიერები, რომელთაც სურთ აღქმულნი იყვნენ, როგორც რეალისტი მკვლევრები, მუდმივად აპელირებენ იმაზე, რომ მათ მიერ მხარდაჭერილი საგარეო პოლიტიკა ეროვნული ინტერესებით არის ნაკარნახევი, უფრო კონკრეტულად კი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით. (Wolfers, 1952)

„ეროვნული ინტერესების“ ცნება მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკა, რომელიც ტარდება, ერთი კონკრეტული სახელმწიფოს სურვილებს ერგება და არა ინდივიდებს, ქვე-ეროვნულ ჯგუფებსა თუ მთლიანად კაცობრიობას. მაგრამ, უოლფერსი იქვე ამატებს, რომ ამ ახსნას ძალიან მწირი შინაარსი აქვს. „თუ ეროვნული ინტერესები ადრე ნაკარნახევი იყო ეკონომიკური და კეთილდღეობის თემებით, დღეს რადგან ცივი ომისა და საგარეო აგრესიის მუქარების ქვეშ ვიმყოფებით, უსაფრთხოების კონოტაცია ამ ცნების მიმართ ადვილად გასაგებია.“ (Wolfers, 1952)

უოლფერსს უოლტერ ლიპმანის სიტყვები მოჰყავს, ეროვნული უსაფრთხოების ცნებაში უფრო მეტი სინათლის შემოსატანად. ლიპმანის აზრით, სახელმწიფო ორ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ: 1. როცა მის წინაშე არ დგას საკვანძო ღირებულებების

შეწირვის საფრთხე ომის თავიდან ასაცილებლად; 2. თუ სახელმწიფოს შესწევს ძალა ჩაერთოს ომში და გამარჯვება მოიპოვოს.

უოლფერსის თვალთახედვით, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტურად იქნას გაზომილი კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ არსებული საფრთხე, ამიტომაც ის ყოველთვის ხდება სპეკულაციის საგანი. უოლფერსი წერს – "ცნობილი ფაქტია, რომ სხვადასხვა დაჯგუფებები ქვეყნის შიგნით, ერთი და იმავე საგარეო საფრთხეს განსხვავებული რეაქციებით ხვდებიან." (Wolfers, 1952)

ავტორი, ასევე, მიმოიხილავს იმას თუ რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან საფრთხეების აღქმაზე. „ერთმა შეიძლება საფრთხე ჩათვალოს ჩვეულებრივ სიტუაციად და ჩასვას ის ნორმალური მოლოდინების კონტექსტში, ხოლო მეორე სახელმწიფომ კი იგივე სიტუაცია ისეთ საფრთხედ აღიქვას, რომლის პირობებშიც არსებობა აუტანლად მიიჩნიოს."

უოლფერსი ცდილობს კონკრეტული კლასიფიკაცია შემოგვთავაზოს იმისა, თუ რა შემთხვევაში რა ტიპის პასუხია მოსალოდნელი სახელმწიფოთა მხრიდან: „ის ქვეყნები, რომლებიც იყვნენ მსხვერპლნი შეტევებისა ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდნენ მაღალი ხარისხის უსაფრთხოების პირობებში, უფრო მეტად სენსიტიურნი არიან საფრთხეების მიმართ." „არანაირი ეჭვი არ არსებობს იმ გენერალიზაციის ჭეშმარიტებასთან, რომ სახელმწიფოების უმრავლესობას – და განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებს – მუდმივი შიში აქვთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და მზად არიან გაწიონ დანახარჯები მისი მაქსიმიზაციისთვის."

უოლფერსი სრულად გამორიცხავს იმის გაზომვას თუ რა საშუალებები შეიძლება იქნას გამოყენებული იმ დროს, როცა სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გამოწვევები უჩნდება და წერს, რომ ეს სრულად არის დამოკიდებული კონკრეტულ ვითარებებზე. (Wolfers, 1952)

გავაგრძელებ ეროვნული უსაფრთხოების ცნების ბუნდოვანებაზე საუბარს, ამ მიმართულებით საინტერესო მიზეზებს ასახელებს ბარი ბუზანი: 1. მისი აზრით, მთავარი მიზეზი რატომაც ეს ცნება ჯერ კიდევ საკმარისად შესწავლილი არ არის, მისი სირთულეა; 2. არსებობს აშკარა გადაკვეთა „უსაფრთხოებისა“ და „ძალაუფლების“ ცნებებს შორის. თუმცა აუხსნელია ის, თუ რატომ არ აძლევს თანამედროვე მკვლევარებს ეს მოტივაციას, რომ უფრო მეტად ჩაუღრმავდნენ ამ საკითხს; 3. რეალიზმის კრიტიკოსების ნაკლები ინტერესი უსაფრთხოების ცნების მიმართ; 4. უსაფრთხოების სპეციალისტები იმდენად არიან დაკავებულნი პოლიტიკაზე მუშაობით, რომ ცნების განმარტვას ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებენ; 5. ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტის ბუნდოვანებას, გადაწყვეტილების მიმღებები გამოსადეგად და სასარგებლოდ მიიჩნევენ, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. (Buzan, 2007)

უსაფრთხოებას მიმართებით საინტერესოა ნეორეალიზმის მამამთავრის კენეთ უოლცის მოსაზრებები, რომელიც ასევე ითვლებოდა თავდაცვითი რეალიზმის მთავარ მკვლევრად. უოლცი უსაფრთხოებას ყველაზე მაღალ პრიორიტეტს ანიჭებს და წერს: „ანარქიულ მდგომარეობაში უსაფრთხოების მიღწევა უმთავრესი ამოცანაა. მხოლოდ იმ პირობებშია შესაძლებელი სახელმწიფომ მიაღწიოს ეკონომიკურ მოგებას, ძალაუფლებასა და წესრიგს, როცა მისი გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.“ (Waltz, 2010, p. 126)

უსაფრთხოების საკითხის მიმოხილვას დიდ ყურადღებას უთმობს კიდევ ერთი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მკვლევარი ჯონ მერშაიმერი, ის საკუთარ წიგნში „The Tragedy of Great Power Politics“ წერს: „თავდაცვითი რეალისტების აზრით, საერთაშორისო სტრუქტურა არ აძლევს სახელმწიფოებს სტიმულს გაზარდონ საკუთარი ძალაუფლება, არამედ უბიძგებს მათ შეინარჩუნონ არსებული ძალთა ბალანსი, ანუ ძალაუფლების შენარჩუნება და არა გაზრდა, არის მთავარი მიზანი სახელმწიფოთა მოქმედებებისა. თავდასხმითი რეალისტები კი ირწმუნებიან, რომ სტატუს-ქვოს შენარჩუნების მოსურნე სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკაში პრაქტიკულად არ არსებობენ, რამეთუ საერთაშორისო სისტემა თავად აჩენს სტიმულებს იმისთვის, რათა

მოძებნონ შესაძლობები დამატებითი ძალაუფლების მოსაპოვებლად მეტოქეების ხარჯზე და ისარგებლონ შექმნილი სიტუაციით, როცა სარგებელი აღემატება დანახარჯებს. სახელმწიფოს უპირველესი მიზანია იყოს ჰეგემონი სისტემაში.“ (Mearsheimer, 2001)

მერშაიმერი უარყოფს სტატუს-ქვოს შენარჩუნების იდეას და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მთავარ აქცენტს ძალაუფლების გაზრდაზე აკეთებს: „სახელმწიფოები მუდმივად ფიქრობენ თავდასხმაზე სხვა სახელმწიფოების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მთავარი მიზანი გადარჩენაა. დიდ სახელმწიფოებს ყოველთვის აქვთ აგრესიული განზრახვები.“ მისი აზრით, დიდი სახელმწიფოები თვლიან, რომ საუკეთესო გზა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის ის, რომ მიაღწიონ ჰეგემონიას მოცემულ მომენტში, რათა მომავალში მაქსიმალურად აღმოფხვრან რაიმე სიტუაციის მიერ შექმნილი ძალაუფლების დეფიციტი. „საუკეთესო გზა ანარქიაში უპირატესობის მოსაპოვებლად და მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხვა სახელმწიფოების ხარჯზე გაძლიერებაა.“ (Mearsheimer, 2001)

მერშაიმერი იმ საფრთხეზეც საუბრობს, რომ თუ სახელმწიფომ სტატუს-ქვოს შენარჩუნებაზე იზრუნა და თავდასხმითი ნაბიჯები არ გადადგა, მაშინ ეს უმოქმედობა შეიძლება იქნას აღქმული, როგორც სისუსტე და გამოყენებული იქნას მეტოქის მიერ. ამ შემთხვევაში კი დიდი შანსია წარსულში მოქმედება ბევრად ნაკლები დანახარჯისა ყოფილიყო, ვიდრე ახლა წინააღმდეგობის გაწევა აგრესიაზე. (Mearsheimer, 2001)

მერშაიმერი იმასაც წერს, რომ საერთაშორისო ინსტიტუციები, მიუხედავად უკვე მათი არსებობის ხანგრძლივი პერიოდისა უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით არარელევანტურები არიან, იმდენად რამდენადაც ისინი ვერ გამოხატავენ სახელმწიფო ინტერესებს და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ელემენტებს პრაქტიკულად ვერ აღიქვამენ.

შედარებით ადრეული პერიოდისაა ჯონ ჰერცის ნაშრომი „იდეალისტური ინტერნაციონალიზმი და უსაფრთხოების დილემა“, სადაც ავტორი აყალიბებს რეალისტურ ლოგიკას უსაფრთხოების თემასთან მიმართებით: „რეალისტური ხედვა გამოირჩევა უსაფრთხოების ფაქტორისადმი განსაკუთრებული როლის მინიჭებით. პოლიტიკური

რეალიზმი გულწრფელად აღიარებს უსაფრთხოებისა და ძალაუფლებისთვის სწრაფვის ფენომენს და მხედველობაში იღებს ამ ფაქტორების მიერ გამოწვეულ შედეგებს.“ (Herz, 1950)

ჰერცი იმავე ნაშრომში უსაფრთხოების დილემის არსსაც აყალიბებს: „იმ დროს, როდესაც სახელმწიფოები იღწვიან უსაფრთხოების მისაღწევად, ისინი ძალაუნებურად ცდილობენ მეტი და მეტი ძალაუფლების მოპოვებას, რათა თავი დააღწიონ სხვა სახელმწიფოების ძლიერებისგან გავლენას. ასეთი ქცევის დროს კი შესაბამისად თავს ბოლომდე უსაფრთხოდ ვერავინ გრძნობს და ძალაუფლებისთვის შეჯიბრი იღებს სტარტს.“ (Herz, 1950)

და ბოლოს, ერთ საინტერესო სტატიაზეც, ჯეიმს ბილინგტონი 1986 წელს Foreign Affairs -ში გამოქვეყნებულ ნაშრომში „რეალიზმი და ამერიკული საგარეო პოლიტიკის ხედვა“ წერს – „იზოლაციონისტები და რელატივისტები შეიძლება მიესალმონ აშშ-ის საგარეო პროცესებიდან გვერდზე გადგომას. მაგრამ ჩვენი უსაფრთხოება და ეკონომიკა იმდენად მასიურად და განუყოფლად არის გადაჯაჭვული გარე მსოფლიოს, რომ მნიშვნელოვანმა უკან დახევამ შესაძლოა სერიოზული საშინაო არეულობები გამოიწვიოს. ჩვენი გადარჩენა მთლიანად არის დამოკიდებული საგარეო ქცევაზე.“ (Billington, 1986)

ინტერვენციის საკვანძო მიზეზები

ერაყის ომის ერთ – ერთი მთავარი მიზეზი ის ეჭვებია, რომლებიც არსებობდა სადამ ჰუსეინის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებით, სადაზვერვო სამსახურებმა ორი საკვანძო დოკუმენტი შეიმუშავეს, რომელთა უდიდესი ნაწილი დღეს დეკლასიფიცირებულია.

ერთ – ერთი ასეთი დოკუმენტია 2002 წლის ოქტომბრით დათარიღებულია CIA – ს (ცენტრალური სადაზვერვო სამსახური) ანგარიში სახელწოდებით „ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამები“.

საკვანძო დასკვნები დოკუმენტის დასაწყისშივეა მოცემული. „ერაყი განაგრძობს მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) პროგრამებს მიუხედავად გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუციებისა, რომლებიც კრძალავს აღნიშნულ საქმიანობას. ბაღდადს აქვს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, ასევე, სამხედრო რაკეტები, რომლებიც ცდება გაერო-ს შეზღუდვებს.“ იქვეა მითითებული ინფორმაცია ბირთვულ პროგრამაზეც: „თუ ერაყი არ დაემორჩილა შეზღუდვებს, მას ექნება ბირთვული იარაღი, ამ ათწლეულის განმავლობაში.“ (CIA, 2002, p. 1)

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ერაყის ხელისუფლება არ ამხელს კონკრეტულ ინფორმაციებს მისი პროგრამების შესახებ – „ბაღდადი მალავს მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების შესახებ ზუსტ ინფორმაციას, სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ.“ (CIA, 2002, p. 1)

CIA – ს ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღებაა დათმობილი იმ მოვლენების მიმართ, რომელიც განვითარდა ერაყში 1998 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინმა საერთაშორისო ინსპექტორები ქვეყნიდან გამოყარა: „1998 წლიდან, ინსპექციების დასრულების შემდეგ, ერაყმა შეინარჩუნა მისი ქიმიური იარაღის პროგრამა, გააძლიერა სარაკეტო პროგრამა და უფრო მეტი ინვესტიციები ჩადო ბიოლოგიური იარაღის შექმნაში.

ანალიტიკოსთა უმეტესობა თანხმდება, რომ ერაყი ანახლებს მის ბირთვულ პროგრამასაც.“ (CIA, 2002, p. 1)

დოკუმენტში, ამას გარდა, მოცემულია ის საკვანძო ფაქტები და ხელისშემწყობი მიზეზები, რატომაც ბაღდადს აქვს ფინანსური შესაძლებლობა ინვესტირება მოახდინოს სხვადასხვა პროგრამებში: „ერაყის მზარდი პოტენციალი გაყიდოს ნავთობი საიდუმლოდ, მას აძლევს შესაძლებლობას მეტი რესურსი ჩადოს მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებში. ყოველწლიური შემოსავალი ამ კუთხით გაოთხმაგებულია.“ (CIA, 2002)

საუბარია 1991 წლის სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ არსებულ მდგომარეობაზეც: „ერაყმა სრულად აღადგინა რეკეტებისა და ბიოლოგიური იარაღის შენობები, რომლებიც დაზიანდნენ ოპერაცია Desert Fox -ის დროს და გააფართოვა მისი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ინფრასტრუქტურა სამოქალაქო წარმოების საფარქვეშ.“ (CIA, 2002)

დოკუმენტში ბირთვული პროგრამის შესაძლებლობებზე ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ სადამ ჰუსეინს ჯერჯერობით არ აქვს ბირთვული იარაღი ან საკმარისი ნივთიერებები მის მისაღებად. სადამს ამის სურვილი კვლავინდებურად გააჩნია.“ (CIA, 2002, p. 1)

დოკუმენტში მოცემულია დებულება, რომ – „ის ფაქტი თუ რამდენად სწრაფად მოიპოვებს ერაყი ბურთვულ იარაღს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მიიღებს ის საკმარის ნივთიერებას ამისთვის.“ დოკუმენტში დატოვებულია იმის შესაძლებლობაც, რომ ერაყმა ბირთვული ბომბი ერთი წლის განმავლობაში მიიღოს.

ბირთვულ პროგრამაზე პარაგრაფები სიმწირით არ გამოირჩევა: „ერაყის აგრესიული მცდელობები მოიპოვოს მაღალი გამძლეობის მქონე ალუმინის მილები, უნდა იყოს მნიშვნელოვანი ყურადღების ობიექტი. ყველა სადაზვერვო ექსპერტი თანხმდება, რომ ერაყს სურს ბირთვული იარაღის მოპოვება და ეს მილები გამოყენებული უნდა იქნას ბირთვული პროგრამისთვის.“ (CIA, 2002, p. 1)

რაც შეეხება ქიმიურ იარაღზე კონკრეტულ ინფორმაციას, დოკუმენტში მოცემულია – „ბაღდადმა დაიწყო განახლებული წარმოება ქიმიური იარაღისა, მათ შორის ზარინის, საიკლოზარინისა და VX – ის. მიუხედავად იმისა, რომ მათი ოდენობა, სავარაუდოდ, შემცირებულია სპარსეთის ყურის პირველ ომთან შედარებით, ბოლო წლებში წარმოება მაინც მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული.“

რაც შეეხება ბიოლოგიურ იარაღს, აქ რამდენიმე საკვანძო მონაცემია:

● „ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი ერაყის ბიოლოგიური იარაღის პროგრამისა არის მოქმედი და უმეტესობა ელემენტი ამავე პროგრამისა არის უფრო მასობრივი და განვითარებული, ვიდრე ეს იყო სპარსეთის ყურის პირველ ომამდე.“

● „ბაღდადმა ჩამოაყალიბა მასობრივი ბიოლოგიური იარაღის პროდუქციის მაწარმოებელი შენობები, რომლებიც არიან ყოველგვარი შემოწმების მიღმა და პოტენციურად მათ შეუძლიათ გაცდნენ სპარსეთის ყურის ომის დროინდელ წარმოების დონეებს.“ (CIA, 2002)

ამას გარდა, დოკუმენტში დაშვებულია შესაძლებლობაც, რომ ბიოლოგიური იარაღის გამოყენება მოხდეს აშშ – ის წინააღმდეგ, მისსავე ტერიტორიაზე.

დოკუმენტში ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა იმაზეც, თუ როგორ არ ემორჩილებოდა ერაყი წლების მანძილზე გაერო-ს რეზოლუციებს და მალავდა ინფორმაციას – „ერაყს არასდროს წარმოუდგენია სრული ინფორმაცია იმ გამოტოვებული რგოლების ამოსავსებად, რომელიც მუდმივად არსებობდა ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ უკუეგდო ის არათანმიმდევრულობა და არ დაუდია სანდო მტკიცებულება იმისა, რომ მან მთლიანად გაანადგურა იარაღის მარაგები და წარმოების ინფრასტრუქტურა.“ (CIA, 2002)

მოცემულია რამდენიმე კონკრეტული მაგალითიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისადმი დაუმორჩილებლობისა. ერთ – ერთი ასეთია 1999 წლის 17 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია 1284, რომელიც აარსებდა UNMOVIC – ს (გაერო-ს მონიტორინგის, ვერიფიკაციისა და ინსპექციის კომისიას) და ითხოვდა მისი წევრების დაუყოვნებლივ

დაშვებას ერაყში. საპასუხოდ ერაყის ხელისუფლებამ უარი განაცხადა და ამტკიცებდა, რომ მან დააკმაყოფილა ყველა რეზოლუცია, რომლებიც გაერო-ს ფორმატში იქნა მიღებული.

ამის შემდგომ კი CIA – ის დოკუმენტში მტკიცებით ფორმაში ვკითხულობთ – „ერაყმა შეინარჩუნა და ზოგიერთ შემთხვევაში გააფართოვა ინფრასტრუქტურა და პროფესიული ექსპერტიზა, რაც საჭირო იყო მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისათვის. მან გამოიყენა რესურსები მარაგების შესანაჩუნებლად და ზოგ შემთხვევაში გასავითარებლად.“ (CIA, 2002, p. 3)

დოკუმენტი აჯამებს ერაყის ხელისუფლების მიერ ინსპექციების შეზღუდვის საკითხს შემდეგნაირად: „1998 წლის დეკემბრიდან ერაყმა უარი თქვა გაერო-ს ინსპექტორების დაშვებაზე, რაც შეესაბამებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს. ამასთანავე, ერაყმა შეზღუდა IAEA-ს (ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო) ინსპექციები 1998 წლიდან, უფლება მისცა მხოლოდ წელიწადში ერთხელ ინსპექტირებისა და ისიც შეზღუდულ ლოკაციებზე.“ (CIA, 2002, p. 5)

ცალკე თავი დოკუმენტში მიძღვნილია ბალისტიკური რაკეტების პროგრამებზე – „ერაყს მფლობელობაში აქვს ბალისტიკური რაკეტა, რომლის დაფარვის ზონა აღემატება 150 კმ-ს, რაც ეწინააღმდეგება გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 687–ის პირობებს.“ ამავე საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „ერაყს არასდროს წარმოუდგენია სრული ინფორმაცია მისი სარაკეტო პროგრამების შესახებ, რაც ეჭვს ბადებს, რომ ის ინარჩუნებს Scud ტიპის რაკეტებს.“ (CIA, 2002, p. 17)

მეორე საკვანძო დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც აშშ-ის სამთავრობო ადმინისტრაცია იღებდა გადაწყვეტილებას არის National Intelligence Estimate (NIE). აღნიშნული ანგარიშიც დაახლოებით იმავე პერიოდში იქნა გამოცემული, 2002 წლის ოქტომბერში და რა თქმა უნდა, კლასიფიცირებული მასალა იყო, თუმცა გარკვეულ პარაგრაფებს თუ არ ჩავთვლით, დღეს ეს დოკუმენტი თითქმის მთლიანად არის ხელმისაწვდომი.

აღნიშნულ ანგარიშში უფრო დეტალურადაა მოყვანილი მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული საკითხები. „ჩვენ ვთვლით, რომ ბაღდადის უარისა და ტყუილების გამო, ერაყის მასობრივი განადგურების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი გამოდის სააშკარაოზე. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია მრავალ საკვანძო საკითხზე ამ მიმართულებით.“ (NIE, 2002)

სადამ ჰუსეინის ფინანსური პოტენციალის შესახებ ინფორმაცია CIA – ს ანგარიშშიც იყო, თუმცა აქ უფრო დაზუსტებითი მონაცემებია მოყვანილი. ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავალი თუ 1998 წელს $580 მილიონი იყო, 2002 წელს შემოსავლის რაოდენობამ $3 მილიარდი შეადგინა.

ამასთანავე, ამ დოკუმენტში უფრო დაწვრილებითაა განხილული აშშ–ის წინააღმდეგ შეტევის საშიშროება მისსავე ტერიტორიაზე: „ერაყი სავარაუდოდ შეეცდება საიდუმლო შეტევების წარმოებას აშშ–ზე. თუ ბაღდადს შიში გაუჩნდა რეჟიმის გადარჩენასთან დაკავშირებით ან რევანშის მიზნით, მსგავსი ნაბიჯის გადადგმა გამორიცხული არაა. ასეთი შეტევები – მეტად სავარაუდოა ბიოლოგიური იარაღით, ვიდრე ქიმიურით – სავარაუდოდ იქნება განხორციელებული განსაკუთრებული ძალების ან სადაზვერვო მუშაკების მიერ.“ (NIE, 2002)

ამავე საკითხთან მიმართებით, დოკუმენტში ვკითხულობთ: „სადამ ჰუსეინმა თუ ის იქნა უკიდურესად იმედგადაწურული, შესაძლოა, გადაწყვიტოს, რომ მხოლოდ ისეთ ორგანიზაციას, როგორიც „ალ-ქაიდაა“ – რომელსაც აქვს წვდომა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გააჩნია ძლიერი ტერორისტული ინფრასტრუქტურა და უკვე არის ჩაბმული სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლაში აშშ–ის წინააღმდეგ – შეუძლია ისეთი ტერაქტის განხორციელება, როგორიც მას სურს. ასეთ შემთხვევაში, ჰუსეინმა შესაძლოა მიიღოს განსაკუთრებული ნაბიჯის გადადგმის გადაწყვეტილება და მიეხმაროს ისლამისტ ტერორისტებს ქიმიური/ბიოლოგიური იარაღით განახორციელონ შეტევა აშშ–ის წინააღმდეგ, მისსავე ტერიტორიაზე.“ (NIE, 2002)

ანგარიშში მაღალი სანდოობის რგოლში განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

●“ერაყი აგრძელებს და ზოგიერთი მიმართულებით აფართოებს მის ქიმიურ, ბიოლოგიურ, ბირთვულ და სარაკეტო პროგრამებს, გაერო–ს რეზოლუციების საწინააღმდეგოდ“;

● „ჩვენ ვერ ვადევნებთ თვალს აღნიშნული პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს, რამეთუ მათზე წვდომა შეზღუდულია“;

● „ერაყი ფლობს გაერო–ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საწინააღმდეგოდ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს და ასევე რაკეტებს“;

● „ერაყს შეუძლია მიიღოს ბირთვული იარაღი, რამდენიმე თვიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ ჩაიგდო ხელში გარკვეული ტიპის ნივთიერებები“. (NIE, 2002)

გარდა ამ ორი ანგარიშისა, საჭიროდ მიმაჩნია მოვიტანო გაერო–ს წარმომადგენლის, გაერო–ს მონიტორინგის, ვერიფიკაციისა და ინსპექციის კომისიის (UNMOVIC) აღმასრულებელი თავმჯდომარის, ჰანს ბლიქსის ანგარიშიდან ციტატები, რომლებიც ნეიტრალური თვალით შეგვახედებს იმ პერიოდის ერაყში არსებულ სიტუაციას.

გაერო–ს უშიშროების საბჭოს წინაშე გამოსვლისას 2003 წლის 27 იანვარს, ჰანს ბლიქსმა მიმოიხილა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია 1441 – ის ფარგლებში მიმდინარე მოვლენები. ბლიქსი შეეხო იმ ფაქტებს, რომლებიც არღვევდა რეზოლუციით გათვალისწინებულ პირობებს – „ერაყის ხელისუფლებამ უარი თქვა გარანტიები მიეცა გაერო–სთვის U-2 ტიპის თვითმფრინავების უსაფრთხოებასთან მიმართებით, რათა განგვეხორციელებინა საჰაერო გადაღება და ლოკაციების დაზვერვა.“ (Blix, 2003)

ბლიქსს შეკითხვები ჰქონდა 2002 წლის 7 დეკემბერს ერაყის მიერ წარმოდგენილ 12 000 გვერდიან ანგარიშთან დაკავშირებითაც – „სამწუხაროდ, 12 000 გვერდიანი ანგარიში, რომელიც ძირითადად შედგენილია ადრინდელი დოკუმენტების ასლებისგან, არ მოიცავს ახალ სამხილებს, რომლებიც გააქრობდნენ შეკითხვებს ან შეამცირებდნენ მათ რაოდენობას.“ (Blix, 2003)

ბლიქსი საკუთარ მოხსენებაში, ასევე, დეკლარირებს, რომ წინააღმდეგობებია იმ მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ ერაყმა გაანადგურა მისი ქიმიური იარაღის პოტენციალი – „ერაყმა გამოაცხადა, რომ ნერვული აგენტი VX არასდროს ყოფილა შეიარაღებაში შესული. ასევე, განაცხადეს ისიც, რომ მცირე ოდენობა ამ ტიპის ქიმიური აგენტისა, რომელიც დარჩენილი იყო სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ განადგურდა ცალმხრივად 1991 წლის ზაფხულში. თუმცა UNMOVIC ფლობს ინფორმაციას, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ამ მტკიცებასთან. გვაქვს შეკითხვები VX ქიმიურ ნივთიერებასთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას პასუხგაცემული ერაყის ხელისუფლების მიერ.“

ბლიქსი დეკლარირებს, რომ 1000 ტონაზე მეტი ქიმიური ნივთიერება საერთოდ არ არის აღრიცხული ერაყის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში. მისივე თქმით, ეჭვები არსებობდა იმ ტიპის რაკეტებთან დაკავშირებითაც ერაყის შეიარაღებაში, რომლებიც არ ჯდებოდა გაერო–ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების შეზღუდვების ფარგლებში.

რაც შეეხება ბიოლოგიურ იარაღს, ბლიქსი ამბობს – „ერაყმა გამოაცხადა, რომ 8 500 ლიტრი ბიოლოგიური აგენტი აწარმოა, რომელიც ცალმხრივად გაანადგურა 1991 წლის ზაფხულში. თუმცა ერაყის ხელისუფლებამ ძალიან მცირე ინფორმაცია წარმოადგინა მსგავსი ნივთიერების როგორც წარმოებაზე, ისე განადგურებაზე.“ (Blix, 2003)

ამავე თემაზე, ბლიქსი აგრძელებს – „სერიოზული მინიშნებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყმა აწარმოა მეტი ანთრაქსი, ვიდრე დეკლარირებული ჰქონდა და როგორც მინიმუმ, რაღაც ნაწილი შეინახა განადგურების შემდეგ, რაც, შესაძლოა, დღესაც აქვს მფლობელობაში.“ (Blix, 2003)

ჰანს ბლიქსი გამოსვლის ბოლოს კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ერაყს პრობლემები აქვს რაკეტებთან მიმართებითაც, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია Scud ტიპის რაკეტებზე.

ასე რომ, ნეიტრალური ორგანოს, გაერო–ს წარმომადგენელმა პრაქტიკულად ვერც ერთ საკითხში ვერ გაფანტა ბუნდოვანება და არ თქვა, რომ ერაყს სრულად ჰქონდა მოცილებული ქიმიური თუ ბიოლოგიური იარაღი, რომელთაც აწარმოებდა სპარსეთის ყურის პირველ ომამდე. მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში დატოვა ეჭვები, რომ ისინი 2003 წლის იანვრისთვისაც შენახული იყო საცავებში.

აშშ–ის სადაზვერვო სამსახურების ინფრომაციისგან დამოუკიდებლადაც, ბუშის ადმინისტრაცია ვერ იქნებოდა დარწმუნებული, უშუალოდ გაერო–ს წარმომადგენლის ანგარიშიდანაც, რომ ერაყს არ შეეძლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასობრივი განადგურების იარაღის საკითხი მართლაც ერთ–ერთი წამყვანი თემა იყო ერაყის ომის წინაპერიოდში და ამ საფრთხის ნეიტრალიზება გახლდათ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ომის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას.

მეორე დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც ჩემს ნაშრომში ფიგურირებს, ეს არის სადამ ჰუსეინის თანამშრომლობა ტერორიზმთან. არსებობს რამდენიმე ისეთი ქეისი, რომელიც ადასტურებს, რომ მიუხედავად საჯაროდ გამოცხადებული სეკულარიზმისა, ერაყის ხელისუფლება თანამშრომლობდა ისლამისტურ დაჯგუფებებთან, რომელთაც შეტევა განხორციელებული ჰქონდათ უშუალოდ აშშ–ის ტერიტორიაზეც.

ერთ – ერთი მაგალითი თანამშრომლობისა, არის 1993 წელს მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე მომხდარი ტერორისტული აქტის მონაწილის აბდულ რაჰმან იასინის შეფარება ერაყის ტერიტორიაზე, მაშინ, როცა ის იმყოფებოდა FBI – ს ძებნილთა სიაში.

იასინი 1994 წელს იორდანიაში ერაყის საელჩოს მეორე მდივნის დახმარებით გადავიდა ბაღდადში, ხოლო ABC News – ის გადამოწმებული ინფორმაციით იასინი თავისუფლად მოძრაობდა და მეტიც, მეზობლების ინფორმაციით, „მუშაობდა ერაყის ხელისუფლებისთვის.“

სადამ ჰუსეინმა არაერთხელ განაცხადა უარი მის გადაცემაზე აშშ–ის ხელისუფლებისთვის, მიუხედავად მოთხოვნებისა ვაშინგტონის მხრიდან.

მეორე ქეისი, რომელიც უფრო ნათლად მოწმობს ერაყის მონაწილეობას საერთაშორისო ტერორიზმში, ეს არის 1993 წელს ჯორჯ ბუში უფროსზე განხორციელებული ლიკვიდაციის მცდელობა.

ჯორჯ ბუში უფროსი იმყოფებოდა ქუვეითში 1993 წლის 14–16 აპრილს, რათა აღენიშნა ერაყის ოკუპაციისგან გათავისუფლება სპარსეთის ყურის პირველ ომში. ბუშის ვიზიტისას დაკავებული იქნა 17 ადამიანი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ გეგმაში აშშ–ის ყოფილი პრეზიდენტის მანქანის ასაფეთქებლად.

აშშ–მ რამდენიმე გამომძიებელი გააგზავნა ქუვეითში. ინტერვიუებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩატარდა თანამზრახველებზე, ასევე ასაფეთქებელი მოწყობილობების კვლევის შედეგად (1993 წლის 29 აპრილს CIA – ს ტექნიკოსებმა შეადარეს ის ასაფთქებელი მოწყობილობა, რომელიც გამოიყენებოდა, ერაყულ ასაფეთქებელ მოწყობილობას და დაასკვნეს, რომ ისინი პრაქტიკულად იდენტურები იყვნენ) და სადაზვერვო სამსახურების ანგარიშების მიხედვით დადგინდა, რომ ბუშის მკვლელობის მცდელობის მიღმა ერაყის ხელისუფლება იდგა.

ამის საპასუხოდ, იმ პერიოდში აშშ–ის ხელისუფლებაში მყოფმა ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ნაბიჯით ეპასუხა ერაყის ხელისუფლებისათვის და 1993 წლის 26 ივნისს პრეზიდენტმა კლინტონმა გასცა ბრძანება დაებომბათ ერაყის სადაზვერვო სამსახურის (IIS) შენობა ბაღდადში.

სადამი, ამავდროულად, გადასცემდა ათასობით დოლარს პალესტინელ თვითმკვლელ ტერორისტთა ოჯახებს.

2003 წლის 13 მარტს, BBC სტატიაში „პალესტინელები სადამისგან დაფინანსებას იღებენ“ წერს – „ნათესავები, როგორც მინიმუმ, ერთი თვითმკვლელი ტერორისტისა და ასევე სხვა სამხედრო პირები შეიკრიბნენ ღაზაში ფინანსური დახმარების მისაღებად. სიტყვით

გამომსვლელებმა დაგმეს აშშ და ისრაელი, რომლებიც ამ ცერემონიას ტერორიზმის მხარდაჭერად აფასებენ.“ (BBC, 2003)

BBC – იმ ცხრილიც გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითავ სადამ ჰუსეინი $10 ათასს უხდიდა თითოეულ პალესტინურ ოჯახს, რომელმაც ერთი წევრი მაინც დაკარგა ისრაელთან დაპირისპირებაში ღაზას სექტორში, ასევე $25 ათასს თითოეული კამიკაძე ტერორისტის ოჯახს, რამაც მთლიანობაში შეადგინა $35 მილიონი 2000 წლიდან მოყოლებული.

ამავე სტატიაში ნათქვამია, რომ „სადამი პალესტინელებს მხარდაჭერას უცხადებს, ასევე მათ სარაკეტო დაბომბვებს ისრაელის მიმართ, რამაც დიდი პოპულარობა მოუტანა მას პალესტინურ ტერიტორიებზე.“ (BBC, 2003)

ამასთანავე, პალესტინაში მოქმედებებდა „პალესტინური არაბული განთავისუფლების ფრონტი“ (PALF), რომელიც ცნობილი იყო, როგორც ლოკალური პრო–ერაყული დაჯგუფება.

ზემოთ ხსენებული ფაქტების გარდა, არსებობდა ინფორმაცია სადამ ჰუსეინის კავშირებზე მოჰამედ ზაიდანთან (იგივე აბუ აბასთან, რომელიც გახლდათ დამფუძნებელი და ლიდერი „პალესტინური განთავისუფლების ფრონტის“ (PLF), აბუ ნიდალთან („აბუ ნიდალის ორგანიზაციის“ (ANO) სულის ჩამდგმელი და ლიდერი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა პალესტინაში მიმდინარე მოვლენებისას 70-80–იან წლებში) და აბუ მუსაბ ალ–ზარქავისთან (რომელიც იყო ერთ–ერთი მთავარი ლიდერი „ალ–ქაიდისა“ ერაყში, სწორედ მას მიაწერენ ინტერვენციის შემდგომ სერიოზული დაპირისპირების გაჩაღებას სუნიტებსა და შიიტებს შორის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე). მიმართებით.

მესამე ცენტრალური მიზეზი და ჩემს ნაშრომში დასკვნითი დამოუკიდებელი ცვლადი არის ირანის ფაქტორი. 2002 წლის 29 იანვარს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კონგრესისადმი ყოველწლიური მიმართვისას ირანი მოიხსენია, როგორც ნაწილი „ბოროტების ღერძისა, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას.“ (Bush, 2002) ხოლო 31 იანვარს მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა ადმინისტრაციის

დამოკიდებულება ირანის მიმართ უფრო ნათელი გახადა და განაცხადა – „ირანის პირდაპირი მხარდაჭერა რეგიონალური და გლობალური ტერორიზმის მიმართ და მისი აგრესიული მცდელობები მოიპოვოს მასობრივი განადგურების იარაღი, უგულებელყოფს მის კეთილ განზრახვებს, რომლებიც წარმოაჩინეს ყველაზე სასტიკი ტერორისტული აქტის შემდეგ.“ (Rice, 2002)

2002 წლის 1 მაისს რადიკალური განცხადება გააკეთა აიათოლა ხამენეიმაც, რამაც კიდევ უფრო დაძაბა მხარეებს შორის ურთიერთობები, მან საჯაროდ უარი თქვა დიალოგზე აშშ–სთან: „ირანის ისლამური რესპუბლიკა არასდროს მოექცევა ამერიკის შეერთებული შტატების დაშინების ქვეშ. მოლაპარაკებები პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, რამეთუ ის მხოლოდ აშშ–სთვის იქნება სასარგებლო.“

აშშ–ს ირანთან მიმართებით ყველაზე მეტად მასობრივი განადგურების იარაღის საკითხი აღელვებდა. 30 იანვარს CIA–ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში მოცემული იყო ინფორმაცია, რომ ირანი საგარეო ქვეყნების მეშვეობით ცდილობდა ისეთი ტექნოლოგიის მიღებას, რომლის გამოყენებაც მოხდებოდა მასობრივი განადგურების იარაღზე სამუშაოდ. „თეირანი ცდილობს განავითაროს საშინაო ინფრასტრუქტურა სხვადასხვა ტიპის იარაღის – ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული – მისაღებად.“ (CIA, 2002)

განცხადება გააკეთა CIA–ს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა სენატში საუბრისას: „ირანი რჩება სერიოზული ყურადღების ობიექტად იმ მიმართულებით, რომ ის კვლავ განაგრძობს მასობრივი განადგურების იარაღის მოპოვებაზე მუშაობას.“ მან ირანი მოიხსენია, როგორც „ფუნდამენტური საფრთხე“ აშშ–ის ეროვნული ინტერესებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სვეტი ირანის საკითხთან დაკავშირებით იყო აიათოლას რეჟიმის თანამშრომლობა ტერორისტებთან.

აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის შტრიხები 2001“, ირანი ნახსენებია, როგორც „ყველაზე აქტიური სპონსორი სახელმწიფო ტერორიზმისა.“ იქვე მოყვანილია სამი მთავარი ორგანიზაცია, რომელსაც თეირანი მხარს

უჭერდა იმ პერიოდისათვის – „ჰეზბოლა“, „პალესტინური ისლამური ჯიჰადი“ და „ჰამასი“. (Department of State, 2001)

„ჰეზბოლა“ არაერთხელ იყო დადანაშაულებული აშშ–ის წინააღმდეგ წარმოებულ ტერორისტულ აქტებში – 1984 წელს ბეირუთში აშშ–ის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებაში, 80–იანებში სხვადასხვა დროს ამერიკელი მოქალაქეების დატყვევებაში, 1996 წელს საუდის არაბეთში ხობარის საცხოვრებელი კომპლექსის აფეთქებაში (რომელსაც 19 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე შეეწირა) და ა.შ. ასევე „ჰეზბოლა“ არაერთ ისეთ აქტზე იყო პასუხისმგებელი, რომელიც ხორციელდებოდა რეგიონში აშშ–ის საკვანძო პარტნიორის, ისრაელის წინააღმდეგ.

შესაბამისად, აგრესიული ირანის (რომელიც ამავე დროს ეძიებდა მასობრივი განადგურების იარაღს), ნეიტრალიზება აშშ–სთვის ერთ–ერთი უმთავრესი მიზანი იყო იმ პერიოდის საფრთხეებით სავსე საერთაშორისო არენაზე, რისი მიღწევისთვის ერაყში ინტერვენცია სერიოზული შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ირანი აღმოჩნდებოდა, როგორც დასავლეთიდან (ერაყი), ისე აღმოსავლეთიდან (ავღანეთი) აშშ–ის შეიარაღებული ძალებით გარემოცული, რაც იქონიებდა სერიოზული გავლენას მის როგორც საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ისე მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებაზე. რაციონალური გამოთვლებით ირანს უნდა ეგრძნო, რომ აშშ მყარად იქცა რეგიონზე გავლენის მომხდენ მთავარ მოთამაშედ და გადაედგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მის გადარჩენას ხელს არ შეუშლიდა.

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა ერაყის ომთან (2003) არსებული ბუნდოვანებების გაქარწყლებასა და კონფლიქტის ჩასმას საერთაშორისო პოლიტიკის ლოგიკურ მდინარებაში. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ერაყის ომზე, მის მიზეზებზე, მოტივებსა და ახსნაზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, წიგნი თუ პუბლიკაცია დაწერილა, თუმცა უმრავლესობა მათგანი მას განიხილავდა, როგორც აშშ–ის ადმინისტრაციაში მყოფი ერთ–ერთი კონკრეტული ჯგუფის, ნეოკონსერვატორების გავლენის შედეგს გადაწყვეტილების მიღებაზე და არ აცნობიერებდა საერთო სურათს. ამ სურათის მთავარი დამახასიათებელი შტრიხი კი ის იყო, რომ 11 სექტემბრის შემდეგ აშშ–ის ხელისუფლებაში მყოფ ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციას მოქმედება უწევდა ისეთ მასობრივ საფრთხისმომცველ გარემოში, რომელიც ცივი ომის შემდგომ ეპოქაში ყველაზე მასშტაბური იყო.

თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბებისას გარკვეულწილად შევეხე ნეოკონსერვატიული ხედვის მთავარ პრინციპებს, რამეთუ თვალსაჩინო გამხდარიყო მისი სისუსტეები. ასევე ის, რომ ერაყის ომის გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ამ იდეოლოგიის თვალთახედვიდან განხილული არ უნდა იყოს. ის უნდა ჩაითვალოს არა რაიმე გადახვევად აშშ–ის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ეროვნული ინტერესებიდან, რომლის მთავარ ქვაკუთხედს მაქსიმალური უსაფრთხოების მიღწევა წარმოადგენს, არამედ ლოგიკურ ნაბიჯად, რომლის ახსნა საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავინდებურად დომინანტად მიჩნეული თეორიის, რეალიზმის პერსპექტივიდან არის შესაძლებელი.

ამის გასაკეთებლად, განსაკუთრებით ჩავუღრმავდი რეალიზმის, როგორც თეორიის მიმდევრების ნაშრომებს, რათა ხაზი გამესვა იმისთვის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხი რეალისტი მკვლევრებისათვის.

ერაყის ომის კონტექსტის უკეთ გასაცნობად, ამასთანავე, საჭირო იყო აშშ–ის ერაყთან ურთიერთობების ისტორიული პერსპექტივის ჩამოყალიბებაც, რომელიც ნაშრომში ცალკე თავად არის შესული. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ომის წინა პერიოდის

მოვლენებს, როცა უშუალოდ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა. სწორედ ამ დროის მონაკვეთს ეხება ნაშრომის დამოუკიდებელი ცვლადები: 1. ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყს გააჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი; 2. სადამ ჰუსეინის თანამშრომლობა ტერორისტებთან; 3. ერაყის საკვანძო მნიშვნელობა ირანული საფრთხის ნეიტრალიზებისთვის. აღნიშნული საკითხების დეტალური მიმოხილვა ნათლად აჩვენებს იმ საკვანძო მიზეზებს რის გამოც ინტერვენცია გახდა საჭირო.

ლიტერატურული მიმოხილვის მეშვეობით კი, რომელიც მოიცავს იმ პერიოდში აშშ–ის ხელისუფლებაში მყოფი პირების ავტობიოგრაფიებს, ნათელი ხდება რომ ომი, როგორც პირველი არჩევანი (რასაც მკვლევრები ხშირად ასკვნიან–ხოლმე) არასდროს არ იდგა და მრავალი ნაბიჯი იქნა გადადგმული სამხედრო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად (დაწყებული გაერო–ს უშიშროების საბჭოში რეზოლუციის მიღებით, რომელიც ავალდებულებდა ერაყს სრულად წარმოედგინა ანგარიში მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებზე, დასრულებული მცდელობებით ოპოზიციის მეშვეობით მოეცილებინათ სადამ ჰუსეინის ხელისუფლება).

საბოლოო დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ერაყის ომი სრულად ლოგიკურად ჯდებოდა აშშ–ის საგარეო პოლიტიკის მიზნებში და არ წარმოადგენდა გადახვევას ამ ჩარჩოებიდან. თეორიული კუთხით კი მისი ახსნა რეალისტური პერსპექტივიდან, ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უალტერნატივოა. აშშ–ის ხელისუფლებამ მიიღო ერაყში სამხედრო ინტერვენციის გადაწყვეტილება, რამეთუ უსაფრთხოების შექმნილი გარემოდან გამომდინარე არ დაეშვა კიდევ ერთი 11 სექტემბრის მსგავსი მოვლენის გამეორება და ასევე, რეგიონიდან შეეკავებინათ კიდევ ერთი საფრთხე, რომელსაც წარმოადგენდა ირანის ისლამური რესპუბლიკა.

რაც შეეხება დასკვნის გენერალიზაციას, უსაფრთხოების მიმართულებით მსგავსი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, აშშ–ის მხრიდან ინტერვენციის განხორციელება სავსებით ლოგიკური იქნებოდა და ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვა მომავალში ყოვლად დაუშვებელია.

ბიბლიოგრაფია

BBC. (2003, March 13). Palestinian get Saddam Funds. Retrieved July 5, 2017, from http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/2846365.stm

Billington, J. H. (1986). Realism and Vision in American Foreign Policy. Foreign Affairs. Retrieved July 5, 2017, from https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/1987-02-01/realism-and-vision-american-foreign-policy

Blix, D. H. (2003, January 27). United Nations. Retrieved July 5, 2017, from https://www.un.org/Depts/unmovic/Bx27.htm

Bush, G. W. (2011). Decision Points. New York City: Broadway Books.

Buzan, B. (2007). People, States and Fear. European Consortium for Political Research Press

Cheney, D. (2012). In My Time: Personal and Political Memoir. New York City: Threshold Editions.

CIA. (2002). Iraq's Weapons of Mass Destruction Programs.

Herz, J. H. (1950). Idealist Internationalism and Security Dilemma. World Politics, 157-180.

Krauthammer, C. (1989/90). Universal Dominion: Toward a Unipolar World. The National Interest, 46-49.

Mearsheimer, J. J. (2001). The Tragedy of Great Power Politics. New York City: W. W. Nanon & Company, Inc.

Morgenthau, H. (1951). In Defense of National Interest. Lanham, Maruland: University Press Of America

Morgenthau, H. (1952). What is the National Interest of the United States? The Annals of the American Academy of Political and Social Science, 1-7.

Morgenthau, H. (1967, April). To Intervene or Not to Intervene. Foreign Affairs, 436.

NIE. (2002). Iraq's Contuinuing Programs for Weapons of Mass Destruction.

Paul R. Viotti, Mark V. Kauppi (2011). International Relations Theory. London: Pearson.

Rice, C. (2012). No Higher Honor: A Memoir of My Years in Washington. New York City: Broadway Paperbacks.

Rumsfeld, D. (2012). Known and Unknown: A Memoir. New York City: Sentinel.

Waltz, K. N. (2010). Theory of International Politics. Long Grove, Illinois: Waveland Press.

Wolfers, A. (1952, December). "National Security" as an Ambiguous Symbol. Political Science Quarterly.

Halper, S. & Clark, J. (2004), – "America Alone – The Neo-Conservatives and the Global Order", Cambridge University Press, Cambridge

Kristol, Irving (1995), – "Neoconservatism – The Autobiography of an Idea", Free Press, New York City

Text of President Bush's 2002 State of the Union Address, Washington Post, Transcript, Retrieved July 5, 2017, from http://www.washingtonpost.com/wp-srv/onpolitics/transcripts/sou012902.htm

Prepared Testimony by Central Intelligence Agency Director George Tenet Before the Senate Intelligence Committee Hearing: Threats to U.S. National Security, Iranwatch, Transcript, Retrieved July 5 2017, from http://www.iranwatch.org/library/government/united-states/congress/hearings-prepared-statements/prepared-testimony-central-intelligence-agency-director-george-tenet-senate-0

Kagan, R. & Kristol, W. (2002), What to Do About Iraq? Weekly Standard. Retrieved July 5, 2017 from http://www.weeklystandard.com/what-to-do-about-iraq/article/2064

The White House Office of the Press Secretary For Immediate Release January 31, 2002 Remarks By The National Security Advisor Condoleezza Rice To The Conservative Political Action Conference. Retrieved July 5 2017 from http://avalon.law.yale.edu/sept11/rice_006.asp

Department of State (2001), Patterns of Global Terrorism. Retrieved July 5, 2017 from https://www.state.gov/documents/organization/10319.pdf